საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადისიბაგე ესაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 15-17 ივლისი. 2022 წ. №93-94 (9431-9432) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

უდიდესი გამოწვევების მიუხედავად, „ოცნება“ ისევ ღირსეულად გამოიყურება! 4

ჭკუით, ქართველნო!

დასავლეთს ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევება სურს, მაგრამ ხედავენ, რომ ეს ქართველ ხალხს არ უნდა და მასზე ზეწოლას ბოლომდე ვერ ბედავენ!..

დეოლიგარქიზაციის აბსურდი

კარლ ჰარცელი:

ყოველ ოთხ წელიწადში გაქვთ შესაძლებლობა, არჩევნებზე უარი თქვათ მათზე, ვინც მოლოდინს გაგიცრუებთ! 2



რამაზ საყვარელიძე:

დასავლეთი ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს უგულებელყოფს! 3

ჯანდაცვის სამინისტროსა და კლინიკებს შორის ვითარება ძალიან დაიძაბა! 5

რას მოიტანს 2%-იანი ბარიერი, „ნაცების“ დაბრუნებას ხელისუფლებაში 3 თუ მათ გაქრობას?!

ბიძინა კვერნაძის „იერ მერვესა წელსა“ ქუთაისის ოპერის თეატრში 7

„თანამედროვე ქართული საეკლესიო ქანდაკება“

„რუსეთის ომი საქართველოსა და მოლდოვაში ნაკლებად სავარაუდოა“! 6

თაკო ჩარკვიანი:

რუსთაველზე გავაკეთებთ დიდ ალყას და მიტაცებულ სახელმწიფოს დავიბრუნებთ!

ოლიგარქატი და ასეთი თავზეხელაღებული ადამიანები არ მიდიან, ბატონებო, საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის ხელყოფაზე ჯგუფი რომ წავა და ამას მხრებზე აიღებს, ამის გაბედვას, საუკუნოვან, ამას რომ გაუბედავს ერს, ყველაფერზე წამსვლელი. ახლა ჩვენ ვსვამთ კითხვას, მაშ, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?

◎ ნუ გეშინია, მკითხველო!

ღირსეული ერები რასაც აკეთებენ მშვიდობიანად, ის უნდა გავაკეთოთ. 2003 წელს სისხლი არ დაღვრილა, შეიცვალა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ოპოზიცია, რომ მან ერთი სიტყვა ვერ თქვას დასავლეთთან, რომ ოპოზიცია აყირავებს მაგიდას. ოპოზიციას არა აქვს ბერკეტი შესრულების და მაგიდას როგორ ააყირავებს?!. ამიტომ ვეუბნებით, გააკეთეთ ეს პუნქტები, ჯგუფები, მესმის სოფელში სიარული, დავდივართ კიდეც, მაგრამ ახლა, როგორ წარმოუდგენია, იგივე გიგა ბოკერიას, ჩვენ ახლა წავიდეთ, ყველამ სადღაც ვიაროთ. ფიზიკურად ნადგურდება, თავი გვეჭრება, საქართველოს პირველი პრეზიდენტი... რა ვიაროთ კაცო, ვიაროთ კი არა, ყოველ დღე ზეწოლას ვახდენთ, მეც პირადად, და ვიცი, რომ ეს ადამიანებიც მუშაობენ. უსერხულია უბრალოდ, აქ მომწონს-არ მომწონს, შეიძლება ყველას სხვადასხვა აზრი აქვს, სირცხვილია, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. თუ ამასაც არ გააკეთებს და დაანახებს დეკლარირებულად დასავლეთს, რომ აი, მე, ხელისუფლება არაფერს არ ვაკეთებ. მერე ბატონებო, ჩემო ძვირფასო საზოგადოებავ, იმისტებო, ამისტებო, გამოვალთ მშვიდობიანად, გავაკეთებთ დიდ ალყას, გაუსვლელად რუსთაველიდან და მიტაცებულ სახელმწიფოს მშვიდობიანად დავიბრუნებთ რუსთაველიდან. მე სხვა გზა არ ვიცი და თუ ვინმემ იცის, მიკარნახოს ბოკერიამ.. (სტილი დაცულია).

კარლ ჰარცელი: ყოველ ოთხ წელიწადში გაქვთ შესაძლებლობა, არჩევნებზე უარი თქვათ მათზე, ვინც მოლოდინს გაგიცრუებთ!

ასე პასუხობს ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი, მოქალაქეთა მიერ სოციალური ქსელით დასმულ შეკითხვას, „რა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს გააკეთონ იმისთვის, რომ უზრუნველყონ, მთავრობის მხრიდან, ევროკომისიის მოსაზრებებით განსაზღვრული 12 პირობის შესრულება“.

„ძლიერ დემოკრატიას აქტიური მოქალაქეები სჭირდება. საბოლოო ჯამში ყველა პოლიტიკურ მხარეს უნდა შევახსენოთ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ხალხის წინაშე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც რამდენიმე გამოკითხვამ აჩვენა - მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს საქართველოს სტრატეგიულ პროევროპულ არჩევანს. მოკლევადიან პერსპექტივაში, ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს 12 პრიორიტეტის წარმატებით განხორციელებაზე, რაც ყველასთვის ამარტივებს პროგრესის გაზომვას და იმის განსჯას, რამდენად წარმატებულად მოღვაწეობენ პოლიტიკური ლიდერები, მაგრამ იმისთვის, რომ იყოთ პასუხისმგებლიანი და ქმედითი მოქალაქე, საჭიროა იყოთ კარგად ინფორმირებული. ამიტომ გირჩევთ დარჩეთ პროცესში ჩართული და მოიძიოთ ობიექტური ინფორმაცია. დეზინფორმაცია ისედაც ბევრია, მაგრამ კარგად ინფორმირებული საზოგადოება ვერ მოტყუვდება. მშვიდობიანი დემონსტრაციები, რომლებიც ჩვენ თბილისში და სხვაგან ვიხილეთ, სადაც რიგითი მოქალაქეები გამოხატავენ თავიანთ მოლოდინებს ხელისუფლებისა და პოლიტიკური ელიტის მიმართ, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, დემოკრატიული ინსტრუმენტი — ყველასთვის შეხსენება, თუ რას მოელით თქვენ პოლიტიკოსებისგან და ბოლოს, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ხმა მისცეთ არჩევნებში იმ პარტიებს, რომლებიც თქვენი აზრით, უკვე ამართლებენ თქვენს მოლოდინს და უარი თქვათ მათზე, ვინც მოლოდინს გაგიცრუებთ“.

დეოლიგარქიზაცია განისაზღვრა უკრაინისა და მოლდოვისთვისაც, რადგანაც ეს ფენომენი მთელს რეგიონშია წარმოდგენილი

დეოლიგარქიზაციაზე ევროკომისიის მოსაზრება სისტემურ გამოწვევებზე უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე ცალკეულ პირებზე, — ამის შესახებ ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა მოქალაქეების მიერ გაგზავნილ კითხვებზე პასუხისას განაცხადა.

„რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია? ევროკომისიის ეს მოსაზრება სისტემურ გამოწვევებზე უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე ცალკეულ პირებზე. მიზანს, გადაჭარბებული ზეგავლენისა და პირადი ინტერესების აღმოფხვრა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოადგენს. მსგავსი პრიორიტეტები განისაზღვრა უკრაინისა და მოლდოვისთვის, რადგანაც ეს ფენომენი მთელს რეგიონშია წარმოდგენილი. იმისათვის, რომ საქართველოში იყოს გამართული დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა, აუცილებელია, ყველა ემორჩილებოდეს ერთსა და იმავე წესებს, რაც გარანტირებულია ძლიერი ინსტიტუტებით, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ ზედმეტი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჩარევის გარეშე, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და კანონის საფუძველზე. ეს არის ძირითადი აზრი. სამოქალაქო საზოგადოებამ, რამდენიმე დღის წინ თავისი გეგმა შეიმუშავა, სადაც ვნახე, რომ ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ კომისიის სხვა 11 პრიორიტეტის წარმატებით განხორციელება თავისთავად გამოიწვევს ოლიგარქიული ზეგავლენის შემცირებას, რაც, ვფიქრობ, კარგი დაკვირვების შედეგია, მართებულია და საწყისი წერტილია ამ საკითხის შემდგომი განხილვისთვის“, — განაცხადა ჰარცელმა.

კანდიდატის სტატუსი დამატებით დაფინანსებაზე ავტომატურ წვდომას არ გულისხმობს!

„რას ნიშნავს რეალურად „კანდიდატის სტატუსი“? ნიშნავს ეს, რომ ქვეყანას, მაგალითად, აქვს წვდომა სპეციალურ პროგრამებზე? არის აქ სხვა სახის სარგებელი? “, — იკითხა ერთ-ერთმა მოქალაქემ, რაზეც დიპლომატი შემდეგ პასუხს სცემს:

„მას შემდეგ, რაც ხდება ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარება, კანდიდატის სტატუსის მიღება არის პირველი ოფიციალური ნაბიჯი გაწევრიანების პროცესში და შემდგომი წინსვლის წინაპირობა. თუმცა, კანდიდატის სტატუსი არ გულისხმობს დამატებით დაფინანსებაზე ავტომატურ წვდომას, ევროპული პერსპექტივის მქონე ქვეყნებთან შედარებით“, — განაცხადა კარლ ჰარცელმა.

ევროკავშირი საქართველოსგან ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს!

თუ თქვენ იცნობთ საქართველოს ისტორიას და პატივს სცემთ მის ტრადიციებს, რატომ სთხოვთ მთავრობას ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას?

მისი თქმით, ევროკავშირის ფარგლებში, საოჯახო სამართალი ევროკავშირის ქვეყნების კომპეტენციის ქვეშ რჩება და, შესაბამისად, ქორწინებასთან დაკავშირებული წესები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება. როგორც ჰარცელი აცხადებს, რასაც ევროკავშირი ყველა წევრი სახელმწიფოსგან ითხოვს, არის დისკრიმინაციის აკრძალვა და ყველა ტიპის, მათ შორის სექსუალური უმცირესობების დაცვა.

„ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების პატივისცემა და დაცვა ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპების მტკიცე რწმენაზე, რომლებიც უნდა იყოს დაცული ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთათვის“, — განაცხადა ჰარცელმა.

კითხვაზე: უნდა დაიცვას თუ არა მთავრობამ თბილისის პრაიდი კანდიდატის სტატუსის მისაღებად? ევროკავშირის ელჩი პასუხობს: სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა და მოვალეობაა ამ უფლებების დაცვა, გამონაკლისების გარეშე.

„მოქალაქეების დაცვა ძალადობისაგან და თითოეული ადამიანის სიტყვისა და შეკრების თავისუფლების უფლების უზრუნველყოფა ევროკავშირის და, უდავოდ, ნებისმიერი დემოკრატიის ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს. სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა და მოვალეობაა ამ უფლებების დაცვა, გამონაკლისების გარეშე. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კონტექსტში შეფასებული იქნება ხელისუფლების მზაობა და შესაძლებლობა, თანაბრად დაიცვას ეს უფლებები ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის უმცირესობებისთვის“, — განაცხადა ჰარცელმა.

ირაკლი კობახიძე:

ქალბატონ რასა იუკნევიჩიანეს განცხადება სამარცხვინო იყო!

ტელეარხ „იმედის“ ეთერში, კობახიძემ განაცხადა, რომ „სიტყვების დამარცვლა საქართველოში არავის სჭირდება და საზოგადოება ძალიან კარგად აფასებს ყველაფერს“.

ქალბატონ რასას განცხადება უბრალოდ, სამარცხვინო, იყო. ამ განცხადებას არავითარი საფუძველი არ აქვს და იმეორებს იმას, რაც ჩაიწერა ევროპარლამენტის რეზოლუციაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვჭირდება განმარტებები. აქ სიტყვების დამარცვლა კი არ არის საჭირო, საჭიროა ფაქტების მოყვანა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმართება ქვეყანა.

როდესაც საუბარია, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო ჩართულობაზე, გვქონია ჩვენ ამაზე საუბარი ოპოზიციის წარმომადგენლებთან და ვეუბნებით, რომ ფაქტები არ აქვთ. ვერცერთი ფაქტი ვერც საჯაროდ და ვერც ერთი-ერთზე ვერ წარმოადგინეს. ფაქტი არ გაქვს, მაგრამ რაღაც წარმოდგენა ხომ შეიძლება გქონდეთ, როგორ, რა ფორმით შეიძლება იყოს ეს ადამიანი პოლიტიკურ პროცესებში ჩართული და როგორ შეიძლება ახერხებდეს გამოჩენის გარეშე მთელი სახელმწიფოს კონტროლს, რასაც ამტკიცებენ. არ ვიცი ეს რამდენად სერიოზულად შეიძლება ამტკიცოს ვინმემ, მაგრამ მაშინ უნდა აღიარონ, რომ ამ ადამიანს ხელს უწყობს რაღაც ზებუნებრივი ძალები....

ლევან ვარშალომიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა

საპროცედურო საკითხთა და **წესების კომიტეტმა გუშინ ოპოზიციონერ დეპუტატ ლევან ვარშალომიძისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო.**

კომიტეტის წევრებმა კენჭისყრით გადაწყვიტეს, რომ ვარშალომიძეს არასაპატიო მიზეზით სხდომების გაცდენის გამო დეპუტატის უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეს. ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, პარლამენტში 2022 წლის საგაზაფხულო სესიის სულ 26 სხდომა ჩატარდა და ლევან ვარშალომიძემ 26-ვე გააცდინა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის გადაწყვეტილება პარლამენტის ბიუროს ეცნობება, რის შემდეგაც განსახილველად პირველივე სხდომაზე გავა.

რას მოიტანს 2%-იანი ბარიერი, „ნაცების“ დაბრუნებას ხელისუფლებაში თუ მათ გაქრობას?!

„ძართული ოცნება“ მზადაა, 2%-მდე დასწიოს ბარიერი და ამით „ნაცმოძრაობას“ ფორა მისცეს, თუკი ქვეყნისთვის სარგებელი მნიშვნელოვანი იქნება და საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდება.

როგორც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, საქართველოს პარლამენტი მიიღებს კანონს, რომლითაც 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით და 2%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარდება.

კობახიძე აცნობიერებს იმ რისკებს, რაც 2%-იან ბარიერს მოჰყვება და ამბობს, რომ ზუსტად ამ რისკების გამო ასეთი დაბალი ბარიერი ევროკავშირის მხოლოდ ორ ქვეყანაში მოქმედებს.

შედარებით მაღალი ბარიერი ხელს აძლევს „ქართულ ოცნებას“, ხოლო დაბალი ბარიერი – „ნაცმოძრაობას“, რაც მარტივი მათემატიკით დასტურდება. მაგალითად, შარშანდელ არჩევნებში 5%-იანი ბარიერი მხოლოდ ორმა პარტიამ გადალახა, საიდანაც „ქართულმა ოცნებამ“ 47%, ხოლო „ნაცმოძრაობამ“ 33% მიიღო. ანუ შარშანდელი არჩევნების მაგალითზე ჩანს, რომ 5%-იანი ბარიერის პირობებში „ნაცმოძრაობას“ 2024 წელს წარმატების არავითარი შანსი არ ექნება. 2%-იანი ბარიერის პირობებში კი მის მიერ ძალაუფლების დაბრუნების შანსი მნიშვნელოვნად იზრდება. თუმცა ასეთ კომპრომისზე წასვლა „ქართულ ოცნებას“ არა მარტო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის გამო უღირს, არამედ საქართველოში პოლარიზაციის შესამცირებლადაც.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ ევროკავშირს შანტაჟის ენით ესაუბრება, როცა ირაკლი კობახიძის პირით პირობას უყენებს, რომ იმ შემთხვევაში დათანხმდება საპარლამენტო არჩევნების 5%-იანი ბარიერის დაწევას, თუკი ევროკავშირი საქართველოს სტატუსს მიანიჭებს. ოპოზიციაში ფიქრობენ, რომ ეს კიდევ ერთი სილის გაწვნაა ევროკავშირისთვის.

ნიშნავს თუ არა 2%-მდე ბარიერის დაწევა „ნაცების“ მობრუნებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას?

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** მიიჩნევს, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს ბარიერის დაწევის შემდეგ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. ცნობილი კონსტიტუციონალისტი აცხადებს, რომ მაღალი პროცენტი იქნება, თუ დაბალი, „ნაცმოძრაობა“ მომდევნო არჩევნებში მაინც მეორე პარტია იქნება. მისივე შეფასებით, სოციალური კვლევები აჩვენებს, რომ მომავალ არჩევნებში პირველ ადგილზე მოკრძალებული 35%-ით გავა „ქართული ოცნება“, მეორეზე გავა „ნაციონალური მოძრაობა“ და სულაც არ გამოირიცხება, რომ გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ გავიდეს მესამე ადგილზე. ავთანდილ დემეტრაშვილი ფიქრობს, რომ გახარიას პარტია შექმნილია, როგორც „ქართული ოცნების“ პარტნიორი კოალიციურ მთავრობაში. ამიტომაც „ქართული ოცნება“, ალბათ, დათანხმდება ბარიერის 2%-მდე დაწევას, მაგრამ ეს მის მდგომარეობას არ შეარყევს.

„არავითარი საფრთხე არ არსებობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდეს. უფრო მეტიც, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ნელ-ნელა ქვემოთ იწევს, მისი აქტიური მოქმედება არ ჩანს, შეიძლება, ეს ტაქტიკაა, მაგრამ ფაქტია, რომ ნელ-ნელა „ნაცების“ რეიტინგი კლებულობს. ამიტომ 2%-იანი საარჩევნო ბარიერი არ უნდა იყოს საფრთხე „ოცნებისთვის“. არის პარტიები, რომლებიც 2%-იან ბარიერს გადალახავენ, ისინი თითქოსდა ოპოზიციას წარმოადგენენ, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მეგობრული ურთიერთობა არ აქვთ. თუკი ბოლო არჩევნებით ვიმსჯელებთ, 2%-იან ბარიერს ბევრი პარტია ვერ გადალახავს. თუ არ ვცდები, ბოლო არჩევნებში 2% და მეტი ბარიერი გადალახა მხოლოდ ოთხმა პარტიამ“, – აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

მანვე განმარტა, რომ პირადად არამრავალრიცხოვანი პარტიული პარლამენტის მომხრეა. შეერთებულ შტატებშიც ორი ძირითადი პარტიაა წარმოდგენილი. დიდ ბრიტანეთშიც ორი პარტიაა და მათი სატელიტი კიდევ ორია. გერმანიაშიც ასეთივე ვითარებაა. განსხვავებული მდგომარეობაა საფრანგეთსა და იტალიაში.

„რით არის განპირობებული ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა, რომ საარჩევნო ბარიერი, რომელიც 5%-ად არის განსაზღვრული 2024 წელს, დაწეულ იქნას 2%-მდე? სხვათა შორის, ირაკლი კობახიძე არა მხოლოდ 2%-ზე, არამედ 1%-ზეც საუბრობდა. დაბალი პროცენტი ნიშნავს იმას, რომ მრავალპარტიული პარლამენტი იქნება და არ იქნება ორი დომინანტური პარტია, როგორც დაახლოებით ახლა არის – „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. თუკი ფილოსოფიურად მივუდგებით ამ საკითხს, ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი ქართველი საზოგადოების ყველა სხვადასხვა ფენა, ვინაიდან პარტიებს თავიანთი ამომრჩეველი ჰყავთ გარკვეულ სოციალურ ფენებში. ეს არის 2%-იანი ბარიერის დედააზრი. „ქართულ ოცნებას“ ეს არ უნდა აშინებდეს, რადგან მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ჩემი ღრმა რწმენით და თავად ირაკლი კობახიძეც, მე მგონი, ამ აზრს იზიარებს, „ქართული ოცნება“ აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე ვეღარ მოიპოვებს. თუკი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების საჭიროება დადგა, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ გამოადგება პარტნიორად, რაც „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს მისი მსოფლმხედველობიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე“, – დასძინა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ არაერთგზის აქვს აღნიშნული, რომ ბარიერის დაწევა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ეს არ არის ევროკავშირთან ვაჭრობა, როგორც ზოგიერთებს უნდათ წარმოაჩინონ, რადგან ირაკლი კობახიძე ვერ ივაჭრებდა ევროკავშირთან. სინამდვილეში, ეს დამოკიდებულია დეპოლარიზაციის წარმატებაზე, დეპოლარიზაციის ტემპერატურის დაწევაზე.

„ჩემი აზრით, 2%-იანი ბარიერი პოლიტიკურ რისკებს გააუვნებელყოფს, პოლიტიკურ სტაბილურობას შექმნის, მმართველ პარტიას დივიდენდებს მოუტანს და ეს ისეთი ხელსაყრელი უკვე აღარ იქნება „ნაცმოძრაობისთვის“, როგორც დღეს არის. ბარიერის დაწევა ხელს შეუწყობს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო შემოკრებილი ვითომც პარტიები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკაზე მუშაობდნენ და გარკვეულ დივიდენდებს ილებდნენ ამის გამო, თავს დააღწევენ „ნაცმოძრაობის“ გავლენას. ისინი ტიპური კლიენტელების როლში არიან, ეს ვითომ პარტიები არა მარტო „ნაცმოძრაობის“ სატელიტები არიან, არამედ პატრონის, ანუ „ნაცმოძრაობის“ ნების შემსრულებელნი. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, მეტნაკლებად სტაბილური ვითარება, როცა 2%-იან, ანუ მცირე გავლენის მქონე პარტიებს მიეცემათ შესაძლებლობა, სტაბილურ ვითარებაში „ნაცმოძრაობის“ გავლენას თავი დააღწიონ. ვერავითარ შემთხვევაში, ეს სავაჭრო თემა ევროკავშირთან ვერ იქნება. წარმოუდგენელია, მმართველი პარტია ევროკავშირთან ვაჭრობაში შევიდეს, ეს არასერიოზულია“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

მანანა ნოზაძე

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, 2003 წელს აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი ძალიან აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლების შეცვლის პროცესებში, ისევე, როგორც ახლა კელი დეგნანი. პოლიტოლოგის განცხადებით, აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა პრემიერს წერილში მეტი პედალირება გაკეთებულიყო რევოლუციის სცენარის მზადების ასპექტზე და მათ შორის იმაზე, რომ ევროკავშირის მიერ დაწესებულ 12-პუნქტიან გეგმაში იცნობა „ნაციონალური მოძრაობის“ სტილი და პოზიციები.

რამაზ საყვარელიძე: დასავლეთი ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს უგულებელყოფს!

– ბატონო რამაზ, რატომ დადგა იმის აუცილებლობა, რომ მთავრობის მეთაურს ამ შინაარსის განცხადება გაეკეთებინა?

– ესაა ყბადაღებული დეოლიგარქიზაციის საკითხი, რომელშიც ბევრი და მათ შორის დასავლეთიდან ბევრი, სწორედ, დეივანიშვილიზაციას გულისხმობს. ამიტომ ბრალდებებზე – ივანიშვილი არ ჩანს, მაგრამ მართავს, რაღაცა რეაქცია უნდა ყოფილიყო. დამაჯერებელი, ქმედითი, თუ არაქმედითი, მაგრამ ასეთი განცხადება უნდა გაკეთებულიყო.

– ღარიბაშვილი თავის წერილში ამბობს, რომ ოპონენტების მიერ აგორებული კამპანია დეოლიგარქიზაციის შესახებ არის დაუსაბუთებელი ბრალდება ივანიშვილის მიმართ, რაც მიზნად ისახავს საქართველოში მოქმედი მმართველი სისტემის დისკრედიტაციას. პრინციპში, შეფასების ამ ნაწილში შეიძლება გაყვე ღარიბაშვილს...

– შეიძლება, მაგრამ არის თუ არა საკმარისი? არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ღარიბაშვილს ასეთი არგუმენტაციის მოყვანის სურვილი. გადავავლოთ თვალი სხვა სახელმწიფოებს და ვნახავთ, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოში შეიძლება იქ არსებული მდგომარეობის შეფასება ამ ტერმინებით. ანუ, თითქმის ყველა სახელმწიფოში არის ფინანსურად ძლიერი პიროვნებები, რომელთაც გარკვეულ პოლიტიკური წონა გააჩნიათ. ამერიკაში არ არის, თუ ევროპაში?

უკრაინაში, რომელსაც მისცეს კანდიდატის სტატუსი, თითო ქუჩაზე თითო ოლიგარქია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამ დროს უკრაინას აძლევენ კანდიდატის სტატუსს, თან აყვედრიან, რომ კორუფცია არისო და ეს კორუფცია არ ნიშნავს, რომ ვიღაცები ხელისუფლების სტრუქტურებს გამდიდრებისთვის იყენებენ? ღმერთმა ყველას შეარგოს, მაგრამ ჩვენ რას გვერჩიან, ერთი შეხედვით, ეს არის გაუგებარი, თორემ თუ დავაკვირდებით, შეიძლება არ იყოს დიდი გაუგებრობა.

– აქედან გამომდინარე რას შეცვლის მთავრობის მეთაურის განცხადება დასავლეთთან ურთიერთობის ნაწილში? ფაქტია, დასავლეთშიც არ არის ერთიანი და მყარი პოზიცია...

– გეთანხებით, ერთიანი და მყარი პოზიცია არ არის და არც შეიძლება რომ იყოს. მაგრამ მეორე მხრივ, ასეთ არამყარ აუდიტორიაშიც შეიძლება შედეგი გამოიღოს. უფრო მეტი შედეგი დასავლეთის აუდიტორაში, ვიდრე ქართულ აუდიტორიაში. მაგრამ იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ – რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს, როგორც ამ განცხადებას, ასევე ბევრ სხვა რამეს, რაც დაკავშირებულია 12 პუნქტთან, ეს პასუხი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვის რა ვერსია აქვს იმისა, თუ რა მოხდა – რატომ მისცეს მოლდოვას და უკრაინას კანდიდატობა, თან შენიშვნებით და იმავე შენიშვნების ფონზე ჩვენ რატომ არ მოგვცეს? არსებითად ეს გაუგებრობა არის, მით უმეტეს, რომ ეს შენიშვნები „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ მიერ წამოწეული კრიტიკის ანარეკლის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამიტომ, ვვარაუდობ, რომ რაღაცა პროცენტით გარკვეულ წრეებს, რომლებმაც შეიძლება გავლენ იქონიეს ჯერ ევროპარლამენტის დადგენილებასთან და შემდეგ უკვე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, შეიძლება ნაციონალების ხელისუფლებაში მოყვანა უნდათ. დაახლოებით ის უნდათ, რაც მოხდა 2003 წელს.

– ეს რა წრეა?

– თუ გახსოვთ, 2003 წელსაც ამერიკის მაშინდელი ელჩი მაილსი ძალიან აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლების შეცვლის პროცესებში, ისევე, როგორც ახლა ქალბატონო დეგნანი. არის ლაპარაკი ომზე და პრემიერის წერილშიც ომის თემა არის პედალირებული, მაგრამ ვისურვებდი, რომ მეტი პედალირება გაკეთებულიყო მაგ ასპექტზეც, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სტილი, პოზიციები იცნობა ამ 12 პუნქტში და გაკეთებულიყო აქცენტი იმაზე, რა მოხდა 2012 წელს, რა ძალადობის ფონზე გაიმარჯვა არჩევნებში ივანიშვილმა და რა მარცხს განიცდის ყველა არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ და ამ ფონზე „ნაცმოძრაობის“ ტექსტებით ლაპარაკი დასავლეთის მხრიდან, ნიშნავს, რომ ისინი ხალხის ბოლო ათი წლის განმავლობაში გაკეთებულ არჩევანს უგულებელყოფენ და ეს არის სამწუხარო.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

შესაძლოა თუ არა ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მესამედ დაბრუნდეს და ქვეყნის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე საზოგადოებას ინფორმაცია პირადად გააცნოს? რატომ დაიწყო 24 თებერვლიდან მის გარშემო დასავლეთიდან გარკვეული სახის ზეწოლა და რას ნიშნავს მისი სახელის ევროპარლამენტარების რეზოლუციაში მოხვედრა? მისმა ადვოკატმა თქვა, რომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ივანიშვილმა მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე ღიად ისაუბროს. თუმცა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო შემობრუნების ეჭვი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამოქვეყნებულმა წერილმაც გაჩინა. პრემიერი ვრცელ წერილში, სადაც ის „ქართული ოცნების“ მმართველობაზე, პარტიის დამფუძნებელზე ბიძინა ივანიშვილზე და არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე საუბრობს, აცხადებს, რომ ივანიშვილი ქვეყანას კიდევ დაუდგება გვერდში და ეს მხარდაჭერა შეიძლება „ოცნებასაც“ დასჭირდეს.

„ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ქვეყანაში სერიოზულ როლს ასრულებს. მის ფაქტორზე საუბრისას ქველმოქმედებას არც კი გავიხსენებ. ბიძინა ივანიშვილმა სწორედ მისი თავგანწირვითა და ახალი თამაშის წესების დამკვიდრებით მოიპოვა ის სიყვარული და პატივისცემა გუნდისგან და საზოგადოებისგან, რომელიც ჩვენს ოპონენტებს ასე ძლიერ აშფოთებთ. ბიძინა ივანიშვილის წარსულს და ამ წარსულზე დაფუძნებულ სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი ოპონენტები ვერაფერს უხერხებენ, რაც მათ სასოწარკვეთილებაში აგდებს. ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერების პირდაპირი ანტიპოდია, რასაც ხალხი ძალიან კარგად ხედავს და აფასებს.

ღარიბაშვილი ამბობს, რომ „კამპანიის ავტორებმა“ კეთილი უნდა ინებონ და განმარტონ, რას გულისხმობენ, როდესაც ოლიგარქსა და დეოლიგარქიზაციაზე ლაპარაკობენ. მისი განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის შიდა თუ გარე პარტნიორებს ურჩევს, შეეგუონ არსებულ მოცემულობას – მშვიდობას, სტაბილურობას და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას.

ღარიბაშვილის განცხადებით, მათ უნდა გაიაზრონ, რომ რამდენიც არ უნდა მოინდომონ, საქართველოს ომში ვეღარ ჩართავენ.

დასავლეთს ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევება სურს, მაგრამ ხედავენ, რომ ეს ქართველ ხალხს არ უნდა და მასზე ზეწოლას ბოლომდე ვერ ბედავენ!..

უღიდესი გამოწვევების მიუხედავად, „ოცნება“ ისევ ღირსეულად გამოიყურება!

პოლიტიკური საკითხების ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში იმიტომ არ მოსულა, ფული ეკეთებინა, ან თავისი ქვეყანა რაღაცა ქვენა მიზნებისთვის გამოეყენებინა. მას მხოლოდ ერთი ვნება ჰქონდა, რომ ძალაუფლებით დამტკბარიყო. ეს სისუსტე ყველა ადამიანს აქვს და მათ შორის ბიძინა ივანიშვილსაც, ამიტომ მას ამისთვის უნდა მივუტევოთ, რადგანაც ასეთი ადამიანური სისუსტე ყველას ახასიათებს.

ანალიტიკოსი ამბობს, რომ **სამწუხაროდ, მას ეგონა ჩვენს ქვეყანას ბევრ სიკეთეს გაუკეთებდა და ამით ვინმე მადლობელი დარჩებოდა. ხოლო ამ სიკეთის კეთებაში ხელი „ნაციონალებს“ რომ არ შეეშალა, ხალხის დახმარებით ისინი ქვეყნის მართვის სადავეებს ჩამოაშორა. ამიტომ ახლა გამოდის, რომ ქვეყანაც და ივანიშვილიც ერთი და იგივე წრეზე ვტრიალებთ. დრო გადის, მაგრამ მთელი ქვეყანა ისევ მისი ღერძის გარშემო ბრუნავს, ხოლო ამ წრიდან თვის დაღწევას ვერავინ ვახერხებთ.**

რადგან მას ფული რუსეთში აქვს ნაშონი, დასავლეთი ბოლომდე არ ენდობა. ამიტომაც არის, რომ 24 თებერვლიდან, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, მის ირგვლივ გარკვეული წრე შეიკრა და მუდმივად დასავლეთიდან წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. მე არ მგონია დასავლეთი ამას იმიტომ აკეთებდეს, რომ მისი პოლიტიკაში შემობრუნება სურთ. არა, დასავლეთს ბიძინა ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევება უნდა. მათი სურვილია, რომ მან საქართველო დატოვოს, ხოლო როცა ხედავენ, რომ ეს ქართველი ხალხის ნება არაა, ბოლომდე მასზე ზეწოლა ვერ მიაქვთ“, – ამბობს ბერიძე.

მისივე თქმით, იმ ხალხს, რომლებიც დასავლეთში ომისა და მშვიდობის საკითხებს განაგებს, სულ არ აინტერესებთ ივანიშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება თუ არა. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ საქართველო დასავლეთისთვის სტრატეგიულად, მით უმეტეს ახლა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამიტომაც საქართველოში პლაცდარმი უნდა ჰქონდეს. დასავლეთისთვის უფრო იოლია ხელისუფლებაში დააბრუნოს ის ძალა, რომელსაც აგერ უკვე 20 წელია უზარმაზარ თანხებს უხდის, თუმცა ამას ხალხის გარეშე ვერ აკეთებს და სწორედ ამ ჭიდილში ვართ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში დააყენა ის გუნდი, რომელიც ქვეყანას ისე წარმართავს, რომ რეგიონში შექმნილი რისკების მიუხედავად, საქართველოს ომი თავიდან ააცილეს. ამიტომაც ივანიშვილის უკან პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობა არ არსებობს. მის მიერ დატოვებული ხელისუფლება ქვეყანას მართავს ისე, რომ უკრაინის ომის ფონზე და ყველა მხრიდან გაძლიერებული ზეწოლის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში რისკები მინიმუმამდე არის შემცირებული.

„ომის ფონზე ძალიან მკვეთრად გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეულმა ხელისუფლებამ შეძლო და ამხელა გამოწვევას გაუმკლავდა. 24 თებერვლიდან მოყოლებული, რა სახის მცდელობა და ზეწოლა აღარ იყო ჩვენს ქვეყანაზე, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებამ თავი ყველაფერს ღირსეულად გაართვა. ამიტომ არ მგონია, რომ ახლა არსებობდეს იმ სახის საფრთხე, ან აუცილებლობა, რომ მისი პოლიტიკაში შემობრუნება აუცილებელი იყოს. ივანიშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“ ისე ეშინია, ყოველდღე გაიძახიან, რომ ის პოლიტიკაში ბრუნდება ან რამე ფორმით არის ჩართული. მათ ყველაზე კარგად იციან, რომ საზოგადოებაში ივანიშვილს ავტორიტეტი და გავლენა აქვს, ამიტომ მის მიმართ იმხელა შიში აქვთ, რომ ყოველდღე მისი უკან პოლიტიკაში შემობრუნება ელანდებათ. დღევანდელ დღემდე 8 არჩევნებში დამარცხდნენ, მეტი რაღა უნდათ?! ყველა და ყველაფერი ამ ქვეყანაში ძალიან კარგად არის დარეგულირებული, ოღონდ ე.წ. ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა თავი უნდა დაანებონ ოდიოზური ფიგურების დემოკრატებად გამოცხადებას. ეს ადამიანები საქართველოში ახალ რევოლუციებს აპირებენ. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ხალხი თავისი ბელადითურთ, ყოველდღე იმაზე ოცნებობს, რომ ქვეყანა გადაატრიალონ და ყველაფრის ფასად უკან დაბრუნდნენ“, – ამბობს გვენეტაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

◎ წერილი რედაქციას

დეოლიგარქიზაციის აბსურდი

ჩვენს ქვეყანაში დღეს დეოლიგარქიზაციის ბუმია.

ყველა მდიდარ ადამიანს, მილიონერს შეიძლება ოლიგარქის სახელი მიეკეროს! მაშინ როცა, აშშ-ის მმართველი პოლიტიკური ელიტა, პრეზიდენტიდან დაწყებული კონგრესმენებით, შტატის გუბერნატორებით და ექსპერტებით დამთავრებული, თითქმის ყველა მილიონერი ან მილიარდერია, მაგრამ არავის არ მოსვლია აზრად ეთქვა, რომ ისინი ოლიგარქები არიან!..

სიტყვა „ოლიგარქი“ რას ნიშნავს, ცნობილია, მაგრამ, როგორც ახლა აღმოჩნდა, ზუსტად არავინ არ იცის, რა მნიშვნელობას ატარებს, კონკრეტულად ვის შეიძლება ეწოდოს ოლიგარქი!

რაც შეეხება ბ-ნ ბ. ივანიშვილს, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მას ოლიგაქის ცნება არ მიესადაგება, ეს შეფასება აბსურდულია, პირიქით, ბიძინა ივანიშვილის პერსონა ოლიგარქის ანტიპოდია.

ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოში ერთადერთი ცნობილი ქართველი მეცენატი, ქველმოქმედი მილიარდერია, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა გაიცნო და მის ამბიციას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანა ემართა, მხარი დაუჭირა, ჩვენი ხალხი ამაში ნამდვილად არ შემცდარა.

ბ. ივანიშვილმა ქვეყანაში განახორციელა უპრეცედენტო საქველმოქმედო მეგა-პროექტები და ხალხისთვის საჭირო სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები (თითქმის სამი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების), ხოლო პოლიტიკურ ასპარეზზე ქვეყნის მმართველობის პერიოდში მან და მისმა გუნდმა, ხელი შეუწყო და განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები, რამაც ქვეყანა თვალსაჩინოდ დააახლოვა დასავლეთს და, შეიძლება ითქვას, მშვიდობიანად მიიყვანა ევროკავშირის საზღვრამდე. ყოველივე ამას ზოგიერთი უვიცი ახლა ოლიგარქიულ მმართველობას ეძახის.

ბიძინა ივანიშვილმა სამართლიანად დაიმსახურა ქართველი



აფხაზეთი რუსეთში საქონლის პარალელური იმპორტისთვის მზადაა

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა მზადაა, დასავლეთის სანქციების ფონზე, რუსეთში საქონლის პარალელური იმპორტის პლატფორმად იქცეს, ამის შესახებ დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ განაცხადა ბაშკირეთში ვიზიტისას.

მისი თქმით, დე ფაქტო აფხაზეთში ორი პორტია, რომლებსაც „სხვა სახელმწიფოებში გასასვლელი აქვთ". რომელ სახელმწიფოებზეა საუბარი, ბჟანიას რა დაუკონკრეტებია.

„მას შემდეგ, რაც რუსეთს ქვეყნების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სანქციები დაუწესა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, რომ შეიძლება ჩვენი ტერიტორიის გამოყენება პარალელური იმპორტისთვის. შესაძლებელია ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის ამოქმედება. დღეს მას ჯერ არ აქვთ ის მასშტაბი, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა, ეს განხილვის საგანია. ჩვენ ორი პორტი გვაქვს, გვაქვს სხვა სახელმწიფოებზე გასასვლელი", — განაცხადა ბჟანიამ. მისი თქმით, „აფხაზეთს სანქციები არ აშინებს".

„იცით, რომ აფხაზეთი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, ჩვენთვის მთავარია, რომ რუსეთმა გვაღიარა. არავითარი სანქციების ჩვენ არ გვეშინია, ისინი ჩვენთვის არასოდეს გაუქმებულა. პირიქით, ეს სირთულეები ჩვენ დაგვაახლოებს", — განაცხადა ბჟანიამ.

უკრაინაში წარმოებული ომის ფონზე, რუსეთს დასავლეთის მრავალმა ქვეყანამ სანქციები დაუწესა. ოკუპირებული სამხრეთი ოსეთი, ისევე როგორც აფხაზეთი, რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღიარა, იმავე წლის სექტემბერში ეს გააკეთა ნიკარაგუამ. 2009 წელს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარეს ვენესუელამ და ნაურუმ და 2018 წელს სირიამ. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა ჯერ აღიარეს, შემდეგ კი გააუქმეს ვანუატუმ და ტუვალუმ.

როიტერი: საქართველოს გავლით ბულგარეთს თხევადი გაზი მიეწოდება

რუსი ექსპორტიორები თხევად ნავთობის გაზს ბულგარეთს ფოთის პორტის გავლით მიაწვდიან.

ინფორმაციას სააგენტო „როიტერი" ფინანსურ ანალიტიკურ პლატფორმა „რეფინიტივ იკონზე" დაყრდნობითავრცელებს. ეს გადაზიდვები, სავარაუდოდ, ივლისში დაიწყება.

„ფოთის პორტის გავლით ნავთობის თხევადი გაზის მიწოდება განიხილება იმის გამო, რომ სხვა საექსპორტო მარშრუტებით გაყიდვების შესაძლებლობა შეზღუდულია", — აცხადებს სააგენტო „როიტერთან" საუბრისას ინდუსტრიის წარმომადგენელი.

არსებული მონაცემებით, ბულგარეთი თვეში დაახლოებით, 30 000-35 000 ტონა თხევად ნავთობის გაზს მოიხმარს. თავად ყოველთვიურად 10 000 ტონას აწარმოებს, დანარჩენს კი რუმინეთიდან და რუსეთიდან იღებს. ნავთობის თხევადი გაზის რუსეთის ქალაქ ურგუტიდან ფოთამდე სარკინიგზო გადაზიდვა და შემდეგ ფოთის პორტიდან ბორნით ვარნამდე ჩატანა 50%-ით ძვირი ჯდება, ვიდრე უკრაინის გავლით ჯდებოდა. სურგითიდან 1 ტონა ტვირთის გადაზიდვა 260-280 დოლარი ღირს, ფოთიდან ვარნამდე ბორნის მომსახურება კი დამატებით 130-150 დოლარი.

რუსეთმა რუმინეთში, უნგრეთსა და მოლდოვაში თხევადი აირის სარკინიგზო ტრანსპორტირება უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაწყებისას შეწყვიტა. ომამდე ამ ქვეყნებს რუსული თხევადი გაზი უკრაინის გავლით მიეწოდებოდა.

უკრაინის წინააღმდეგ ომის გამო, რუსეთიდან თხევადი გაზის შესყიდვა შეწყვიტა ფინეთმა. გასულ წელს უკრაინასა და ფინეთში, რუსეთმა თავისი თხევადი გაზის 25% გაიტანა. ნავთობის თხევადი გაზი წარმომავლობის გარდა, გათხევადებული ბუნებრივი აირისგან, ტრანსპორტირების არჩევანისგანაც განსხვავდება. ნავთობის თხევადი გაზის გადაზიდვა ტანკერებითა და ცისტერნებით არის შესაძლებელი, გათხევადებული ბუნებრივი აირი კი, როგორც წესი, მილსადენებით იგზავნება ან მისი შესანახად და გადასაზიდად, სპეციალიურად ამ მიზნისთვის დამზადებული ავზები გამოიყენება.

ხალხის დიდი პატივისცემა და მიიღო ყოველმხრივი მხარდაჭერა, მისმა გუნდმა ქვეყანაში ყველა არჩევნები მოიგო!

სწორედ ეს ვერ აიტანეს „ქართული ოცნების" ოპონენტებმა, პირადად ბიძინას მოწინააღმდეგებმა და, მიუხედავად იმისა, რომ მას ამჟამად არავითარი პოლიტიკური თანამდებობა არ უკავია, მაინც არ ასვენებენ, მაინც აგზავნიან თავიანთ „ქორებს" დასავლეთში და იქაურ „ყვავებთან" ერთად ჩხავიან: **„ოლიგარქი", „სანქციები", „ფარული მმართველი"** და ა. შ., რათა როგორმე შეასუსტონ, გაანელონ მისი ავტორიტეტი და გავლენა ხალხში, ხოლო შემდგომ ეცადონ ამით უფრო ადვილად განახორციელონ ნაციონალური რევანშისტული ზრახვები!

მაგრამ ისტორიას კარგი მეხსიერება აქვს. ვერავითარი ცილისწამება, სრულიად გაუგებარი სანქციების მოთხოვნა ვერ შეცვლის ქართველი ხალხის განწყობას და პატივისცემას ამ პიროვნების მიმართ, მარტო იმიტომ, რომ მას კარგის მეტი არაფერი არ გაუკეთებია თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის...

რაც შეეხება მის არაკეთილმოსურნეებს, თუ ისინი კვლავ გააგრძელებენ ამ ბოროტ გამოხტომებს, პასუხად აუცილებლად მიიღებენ ქართველი ხალხის მტკიცე პროტესტს და სამართლიან რისხვას.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი!



ბონდო ქობულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჯანდაცვის სამინისტროსა და კლინიკებს შორის ვითარება ძალიან დაიძაბა!

ჯანდაცვის სამინისტრომ კლინიკებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დადგენილი მომსახურების ტარიფების ინდექსაციაზე უარი უთხრა. რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, კერძო სექტორი სამინისტროსგან შესაბამის გადაწყვეტილებას ივლისში ელოდა.

ტარიფების ინდექსაციას სამედიცინო სექტორი კლინიკების დაფინანსების ახალი მოდელის — ე.წ. DRG-ის ამოქმედებამდე ითხოვდა, რომელიც მთლიანად სექტორზე წლის ბოლოდან უნდა გავრცელდეს. როგორც აღმოჩნდა, ჯანდაცვის მინისტრი ახალ სისტემაზე გადასვლამდე ტარიფების გადახედვას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. ჯანდაცვის მინისტრი პირდაპირ აცხადებს, რომ სახელმწიფოს აქვს მზაობა, კლინიკებს სამედიცინო სერვისები დაუფინანსოს, ოღონდ კლინიკებმა მაღალი ხარისხის მკურნალობა უნდა უზრუნველყონ.



„2030 წლამდე სამოქმედო გეგმაში გაწერილი გვაქვს, რომელ წელს, რა ეტაპზე უნდა ვიყოთ ჯანდაცვის დაფინანსების კუთხით. 2030 წლის ბოლომდე უნდა ავიდეთ 90-95%-იან დაფარვაზე. ეს ნიშნავს, თუ ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სამედიცინო დახმარება დასჭირდება, სახელმწიფო მზად იქნება, მათ დასახმარებლად. დღეს ეს ნიშნული არის სადღაც 70%-ის ფარგლებში.

რადგან ჩვენ გვაქვს მზაობა, დავუფინანსოთ ეს სამედიცინო სერვისები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სერვისები იყოს რაც შეიძლება მაღალი სტანდარტის და ხარისხის, რადგან დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს მკურნალობენ შესაბამის გარემოში, შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმები და არის შესაბამისი მედიკამენტები გამოყენებული", — აღნიშნა **ზურაბ აზარაშვილმა.**

მისი თქმით, DRG სისტემა საპილოტე რეჟიმში უკვე გაშვებულია და წლის ბოლომდე ყველა კლინიკაზე გავრცელდება.

„ჩვენი აზრით, ეს ჩამოაყალიბებს იმ სამართლიან და ადეკვატურ ტარიფს, რომელსაც სახელმწიფო გადაიხდის ამა თუ იმ სამედიცინო სერვისზე. ძალიან გული მწყდება, რომ კლინიკების მხრიდან აპელირება ხდება მხოლოდ ფინანსურ ნაწილზე. ჩვენ მხოლოდ ფინანსურს არ ვჯერდებით და აუცილებელია, ხარისხი იყოს ადეკვატური. არაფინანსური ნაწილიც მოწესრიგდეს. კლინიკებმა ის სტანდარტები, რასაც მოვთხოვთ, ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილონ.

ინდექსაციის შემთხვევაში არ ვიცით საიდან უნდა გამოვიდეთ, ინფლაციას უნდა მივებათ-არ მივებათ. მაგალითად, ახლა ითხოვენ რეანიმაციას მივაბათო, რატომ რეანიმაციას და არა სხვას? ეს რამდენიმეთვიანი პროცესია, რასაც გეგმის მიხედვით მივყვებით. ვფიქრობ, ამ პროცესს უნდა დაველოდოთ და ამის შემდეგ სამართლიანი ტარიფები იყოს.

არ უნდა იყოს ისე, რომ დღეს რაღაც ტარიფი შემოვიღოთ, მერე როცა DRG შემოვა, იმან შეიძლება გვაჩვენოს, რომ ეს ტარიფი შესამცირებელია, ეს არასერიოზული გამოვა ჩვენი მხრიდან", — აღნიშნა აზარაშვილმა.

მინისტრის ეს განცხადება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა სამედიცინო ასოციაციისთვის, რომელიც 130 კლინიკას აერთიანებს. დარგობრივი გაერთიანების ხელმძღვანელი ამბობს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაწილე კლინიკებისთვის მძიმე ტვირთი იქნება.

„ველოდებოდით, რომ რეანიმაციის ტარიფებს მოჰყვებოდა აუცილებლად ინდექსაცია, ასე ვიყავით მინისტრის მოადგილეებთან შეთანხმებული. არაერთხელ აღვნიშნეთ ასოციაციის წევრებმა, რომ ინდექსაცია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თუნდაც იმიტომ, რომ პაციენტის მომსახურების ხარისხზე ყველაზე მეტად აისახება სწორედ არასაკმარისი ტარიფები.

2013 წლის შემდეგ ჰოსპიტალური სექტორისთვის ხარჯების ზრდა განაპირობა როგორც იმპორტირებული ინვენტარის სამედიცინო აღჭურვილობის გაძვირებამ, ასევე კომუნალური გადასახადების ზრდამ. ტარიფები არათუ გაიზარდა, 2019 წლის 520-ე დადგენილების საფუძველზე შემცირდა და ხშირ შემთხვევაში მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფი გაწეულ ხარჯს ვერ ფარავს.

მინისტრმა დღეს თქვა, რომ მნიშვნელოვანია პაციენტის მომსახურების ხარისხი. ხარისხის დარეგულირება მხოლოდ შემოწმებით არ მოხდება, შემოწმებაც უნდა მოხდეს სწორად გაწერილი გაიდლაინების და პროტოკოლების მიხედვით. ამაზე სერიოზულადაა სამუშაო და კანონმდებლობაში ცვლილებები შესატანია. რა თქმა უნდა, ვინც ვერ დააკმაყოფილებს, იმ სამედიცინო დაწესებულებამ აღარ უნდა მიიღოს საქმიანობის ნებართვა, ამას მივესალმებით, მაგრამ თუ არ მოხდება სწრაფად ინდექსაცია, ვერაფრით შეძლებენ სამედიცინო დაწესებულებები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

მოვისმინეთ, რომ თურმე ინდექსაცია არ მოხდება და 9 თვე ტყუილად ველოდეთ. სექტორი შევიკრიბებით და ჩამოვყალიბდებით შემდეგ ნაბიჯებზე. რა თქმა უნდა, ეს დიდი დარტყმა იქნება იმ სამედიცინო დაწესებულებებისთვის, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობენ", — დასძინა სამედიცინო ასოციაციის ხელმძღვანელმა.

ბექა დანელია

რუსეთის ომი საქართველოსა და მოლდოვაში ნაკლებად სავარაუდოა!

უკრაინაში რუსული ომის პარალელურად არსებობს მოსაზრება, რომ მოსკოვმა შესაძლოა პრობლემები შეუქმნას კიშინოვსა და თბილისს, თუმცა სამხედრო ანალიტიკოსები თვლიან რომ, რუსეთს ამის არც რესურსი აქვს და არც საჭიროება.

„რანდის კორპორაციის“ ანალიტიკოსი კლინტ რეჩი, „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს განმარტავს, რომ რუსეთის მთავარი ფოკუსი დღეს, ასევე უახლოეს მომავალში, უკრაინაა და ფაქტობრივად გამორიცხავს შესაძლებლობას, უკრაინაში ომის პარალელურად, მოსკოვი საქართველოს ან მოლდოვას თავს დაესხას.

„ამის ალბათობა ძალიან მცირეა. ვფიქრობ, რომ რუსეთის მთელი აქცენტი უკრაინისკენ არის მიმართული. რუსი სამხედროების დიდი ნაწილი უკრაინაშია, ასე რომ იმის ფიქრიც კი, რომ ისინი წამოიწყებენ რაიმე სახის სამხედრო შეჭრას საქართველოში, ან მოლდოვაში, ძალიან მცირეა და აჩენს ძალიან ბევრ კითხვას, როგორ შეძლებს რუსეთი ამის გაკეთებას? ასე რომ, ვფიქრობ უახლოეს მომავალში ეს მოსალოდნელი არ არის იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ ქვეყნებში (საქართველოსა და მოლდოვაში) არ არის კრიზისი, სადაც რუსეთს ერთგვარი რეაგირების აშკარა აუცილებლობა დაუდგება,“ — ამბობს რეჩი.

ანალიტიკოსი „ამერიკის ხმასთან“ საუბარისას განმარტავს, რომ ახალი კონფლიქტის წამოწყების შემთხვევაში, რუსეთს მოუწევს უკრაინიდან საკუთარი ძალების ნაწილი გაიყვანოს, თუმცა ეს ნაკლებად წარმოსადგენია.

რაც შეეხება ომს უკრაინაში და მის მიმდინარეობას, კლინტ რეჩი გვეუბნება, რომ ახლა ფრონტის ხაზზე ე.წ. „პაუზაა“ გამოცხადებული, რა დროსაც როგორც უკრაინა, ასევე რუსეთი, საკუთარი ძალების გადაჯგუფებას ახდენენ. სამხედრო სპეციალისტი აქვე ამბობს, რომ რუსებს გარკვეული პრობლემები აქვთ საკომუნიკაციო საშუალებებისა და იარაღის კუთხით.

„ამჟამინდელი საბრძოლო ვითარებით, ვერცერთი მხარე ვერ შეძლებს გადამწყვეტ სამხედრო გამარჯვებას,“ — ამბობს რეჩი და ამატებს, რომ თუ რუსეთმა დონბასის რეგიონზე კონტროლი მოიპოვა, ეს კრემლისთვის გამარჯვებად ვერ ჩაითვლება.

„მაშინაც კი, თუ რუსეთი მიაღწევს თავის მიზნებს იმისთვის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში საკუთარი გავლენა უზრუნველყოს, კრემლს არ ეყოლება მთავრობა კიევში, რომელიც მხარს დაუჭერს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. დედაქალაქის კონტროლის გარეშე კი რუსეთს არ შეუძლია, საიმედოდ სტრატეგიული ნაბიჯები გადადგას და ცვლილებები მოახდინოს“ — ამბობს ანალიტიკოსი კლინტ რეჩი.

„როგორ შეიძლება დასრულდეს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომი? — ანალიტიკოსი ამბობს, რომ „ნაკლებად სავარაუდოა, ომი კომპრომისული სამშვიდობო მოლაპარაკებებით დასრულდეს“.

საბა გუჯაბიძე

სტოლტენბერგმა ნატოში ვერ მიგიღებთო!..

ძირითადი ფოკუსი ახლა უკრაინაზეა, მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რათა უკრაინამ შეძლოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ არსებობა. ეს არის მთავარი ფოკუსი, ახლა ფოკუსი წევრობაზე არაა, — აცხადებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

„არის სამი ქვეყანა, რომელიც ნატოს წევრობისკენ ისწრაფვის. ესაა უკრაინა, საქართველო და ბოსნია-ჰერცეგოვინა. საქართველო და უკრაინა, ეს ორი განსხვავებული ქვეყანაა. ძირითადი ფოკუსი ახლა უკრაინაზეა, მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რათა უკრაინამ შეძლოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ არსებობა. ეს არის მთავარი ფოკუსი, ახლა ფოკუსი წევრობაზე არაა. საქართველოზე მთავარი ფოკუსი კვლავ რეფორმებზეა, რათა დავეხმაროთ მათ ნატოს წევრობისკენ სვლაში. ჩვენს შესახებ იცით, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ახალ წევრთან დაკავშირებით მოითხოვს ერთხმად მხარდაჭერას, ყველა წევრის თანხმობაა საჭირო და ჩვენ არ გვაქვს შეთანხმება ნატოში, რომ ახლა გადავდგათ მომდევნო ნაბიჯი და გვქონდეს წევრობის სამოქმედო გეგმა. ფოკუსირება განახორციელეთ რეფორმებზე და იმედი მაქვს, რომ ერთ დღესაც ჩვენ შევძლებთ ერთი ნაბიჯით წინ წასვლას“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

რაც შეიძლება უნგრეთისა და პოლონეთისთვის, არ შეიძლება საქართველოსთვის...

ევროკავშირმა უნგრეთსა და პოლონეთს განუცხადა, რომ ქვეყნებმა უნდა გააუმჯობესონ სასამართლოსა და მედიის დამოუკიდებლობა, ასევე ზომები მიიღონ მექრთამეობის წინააღმდეგ. ევროკავშირში აცხადებენ, რომ ამ ორი ქვეყნისთვის მილიონობით დოლარის დახმარების განბლოკვა სწორედ ამ საკითხების შესრულებაზეა დამოკიდებული, რასაც ორი ქვეყანა ჯერჯერობით არ პასუხობს და რაც იწვევს სერიოზულ შეშფოთებას.

„როიტერი“ წერს, რომ ყურადღება ორ ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაზეა, სადაც ევროსკეპტიკურად განწყობილ მთავრობებს ევროკავშირთან სულ უფრო გამწვავებული ბრძოლა აქვთ მიგრაციის, ადამიანის უფლებათა, გარემოს დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებების გამო.

„რუსეთის ომი უკრაინაში არის კიდევ ერთი შეხსენება იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი მუშაობა ევროკავშირში და მის საზღვრებს მიღმა კანონის უზენაესობის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის კუთხით“, — განაცხადა ევროკომისარმა ვერა იუროვამ და აღნიშნა: **„ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, ვიყოთ სანდო, თუ ჩვენს სახლში წესრიგი იქნება“.** ბრიუსელში დაფუძნებული კომისია ბუდაპეშტს არ აძლევს წვდომას 15,5 მილიარდი ევროს ოდენობის სტიმულირების ფონდზე, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის შემდეგ ეკონომიკის აღდგენაში დახმარებას, ასევე პოლონეთს წვდომა აქვს შეზღუდული 36 მილიარდ ევროზე. კომისიამ უკვე დაამტკიცა 25 ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გაწევის საკითხი, პოლონეთი ამ ჯგუფში არის, მაგრამ ჯერჯერობით ქვეყანას თანხა არ მიუღია, რადგან კომისია თავს იკავებს ტრანზაქციისგან.

საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა. რიკოთის პროექტებზე ამჟამად დასაქმებულია 4000-ზე მეტი ადამიანი

რიკოთის ახალი გზის რამდენიმე მონაკვეთი წელს გაიხსნება

რიკოთის **მაგისტრალური გზის მშენებლობა ნამდვილად საუკუნის პროექტია და აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო საგზაო დერეფნის ყველაზე გამომწვევი და მნიშვნელოვანი მონაკვეთია. სამუშაოები ყველა გვირაბზე გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. გვაქვს დასრულებული გვირაბები, რომლითაც უკვე ვსარგებლობთ. გვირაბების ნახევარი კი უკვე გაჭრილია და შესაბამისი მოსახვითი სამუშაოები ხორციელდება. ასევე, კარგი პროგრესია ხიდებთან მიმართებაშიც — მიმდინარეობს ყველაზე გრძელი, უნიკალური მეტალის ხიდის მონტაჟი, — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ რიკოთის მაგისტრალური გზის სამშენებლო სამუშაოების მონახულების შემდეგ განაცხადა.**

რიკოთის 4 ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალური გზის მშენებლობა აქტიურად გრძელდება. უკვე გაჭრილია 24 გვირაბი, საიდანაც 3 დასრულებული გვირაბით სატრანსპორტო საშუალებები უკვე სარგებლობენ. სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს 88 ხიდზე, საიდანაც 30 უკვე აშენებულია, ხოლო 6 დასრულებულ ხიდზე მოძრაობა გახსნილია.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 მონაკვეთად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის 11.6 კმ-იან, ხევი-უბისას 12,2 კმ-იან, უბისა-შორაპანის 13 კმ-იან და შორაპანი-არგვეთას 14,7კმ-იან მონაკვეთებად. საერთო ჯამში, რიკოთზე დაგეგმილია 52 კმ-მდე გზის, 97 ხიდისა და 51 გვირაბის მშენებლობა.

„ეს გზა მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო დერეფნის თვალსაზრისით, რომელსაც შუა დერეფანი ჰქვია და რომელიც არსებული მოცემულობის და უკრაინაში მიმდინარე ომის პირობებში, კიდევ უფრო აქტუალური ხდება. რა თქმა უნდა, ახალი გზის პირობებში აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო დერეფანი კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება საერთაშორისო გადაზიდვებისთვის და ძალიან მნიშვნელოვან როლს იქონიებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კუთხით,“ — განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

რიკოთის საგზაო მონაკვეთი აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის (E 60-ის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი თანამედროვე სტანდარტის 4-ზოლიან ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზება გაზრდის გზის გამტარუნარიანობასა და სატრანზიტო ტვირთბრუნვას. ამასთან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი, ხოლო მგზავრობის დრო საგრძნობლად შემცირდება. ამ დროისთვის, რიკოთზე გადაადგილების დასაშვები სიჩქარე 60 კმ/სთ-ია, მშენებლობის დასრულების შემდეგ გადაადგილების დასაშვები სიჩქარე გაიზრდება, რიგ მონაკვეთებზე კი თითქმის გაორმაგდება. ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს.

რიკოთის უღელტეხილზე სამუშაოები პანდემიის პერიოდშიც არ გაჩერებულა. მაგისტრალის 2 კმ-იან ორზოლიან, ხევი-უბისას მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2021 წლის სექტემბერში გაიხსნა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თქმით, რიკოთის საუღელტეხილო ახალი გზის კონკრეტული მონაკვეთები უკვე წელს გაიხსნება, ხოლო სრულად რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის მშენებლობა 2023 წელს დასრულდება.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტი სურამში, შროშასა და ზესტაფონში, მაგისტრალის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის საკუთარი ნაწარმის რეალიზაციისთვის სპეციალური სივრცეების მოწყობასაც ითვალისწინებს.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა. რიკოთის პროექტებზე ამჟამად დასაქმებულია 4000-ზე მეტი ადამიანი და დასაქმებულთა დაახლოებით 68% საქართველოს მოქალაქეა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში პირველი აფთიაქი გაიხსნა

დავით ალმაშენებლის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში პირველი აფთიაქი გაიხსნა. აფთიაქი საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორმა, თამარ არჩუაძემ და GPC-ის რეგიონალურმა დირექტორმა, ელზა ჯავახაძემ გახსნეს.

აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ეს არის იმერეთის რეგიონში ჯპს-ის მეშვიდე აფთიაქი.

„მოხარულები ვართ, რომ ქუთაისის განახლებულ საერთაშორისო აეროპორტს ეტაპობრივად ახალი ობიექტები ემატება. ჩვენი მიზანია, რომ დივერსიფიცირება მოვახდინოთ იმ ობიექტების, რომლებიც სხვადასხვა ტიპის პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობენ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრებს. ჯპს არის პირველი აფთიაქი, რომელიც ქუთაისის აეროპორტში გაიხსნა. მედიკამენტების გარდა, აფთიაქში ყველა ის საჭირო პროდუქტი იყიდება, რომელიც მოგზაურობისთვის არის საჭირო“, — აცხადებს თამარ არჩუაძე.

„ჯპს“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიაა და ქვეყნის მასშტაბით 100-ზე მეტ ფილიალს ფლობს. ამ ეტაპზე, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში კვების, სავაჭრო და სხვა სახის 13 ობიექტია წარმოდგენილი. უახლოეს მომავალში ქუთაისის აეროპორტს კიდევ რამდენიმე ახალი ობიექტი შეემატება.

„თანამედროვე ქართული საეკლესიო ქანდაკება“

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის სააქტო დარბაზში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით მომზადებული და გამოცემული წიგნი-ალბომის „თანამედროვე ქართული საეკლესიო ქანდაკება“ წარდგინება გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი დავითი-ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, მოქანდაკე პაატა გიგაური და ალბომზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრები, მხატვარი ყარამან ქუთათელაძე, წიგნის რედაქტორი, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრა გაგუნია, ხელოვნების ისტორიკოსი ზაზა სხირტლაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორი, სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ღაღანიძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ორენოვან ალბომში შესულია საქართველოში მდებარე 20-ზე მეტ ეკლესიაში არსებული რელიეფების, ბარელიეფების და ორნამენტების ვიზუალური მასალა, მათ შორის: წმ. სამების საკათედრო ტაძრის მთავარი საკურთხევლისა და სამკვეთლოს ტრაპეზები; წმ. გიორგის ეკლესია დიდ ნეძში; წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ქოშიგორაში; თბილისში მდებარე საქართველოს საპატრიარქოს ხარების ეკლესიის ტიმპანის ქვები და ტრაპეზი; წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კანკელი სოფელ დიღომში და სხვა.

1990-იან წლებში, სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მოქანდაკეთა ჯგუფმა (პაატა გიგაური, თემურ ხინჩაგაშვილი, ნოდარ როსტიაშვილი, ირაკლი ღონღაძე, დავით ფაჯიშვილი, თემურ მაღლაკელიძე და გიორგი კვაჭაძე) ჩამოაყალიბა შემოქმედებითი გაერთიანება „პალეოლითი“, რომელიც უკვე 35 წელია აქტიურად არის ჩართული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ტაძრების, რელიეფების, ბარელიეფების, ქვაში კვეთის სხვადასხვა ფორმების აღდგენა-რესტავრაცია-კონსერვაციის საქმეში. ამასთან, ჯგუფის წევრები ეპარქიებში ცალკეულ მონასტრებთან და ტაძრებთან არსებულ სახელოსნოებში, საეკლესიო ქრისტიანულ ქანდაკებას საკუთარი, ახალი, თანამედროვე მიგნებებითა და ინოვაციებით ავითარებენ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, ჯგუფის წევრებმა პროექტით „თანამედროვე ქართული ქრისტიანული ქანდაკება“ მომართეს კულტურის სამინისტროს, რის შედეგადაც დაფინანსდა საქართველოს ტერიტორიაზე ჯგუფის მიერ შექმნილი საეკლესიო ქანდაკებების ფოტოფიქსაცია, ხელოვნების მკვლევრის მიერ ტექსტის შემუშავება, ტექსტის თარგმნა, ინგლისურ ენაზე, რედაქტირება/კორექტირება და წიგნის კონცეფციის შემუშავება. მიმდინარე წელს კი კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით წიგნი-ალბომის „თანამედროვე ქართული საეკლესიო ქანდაკება“ 500 ეგზემპლარი გამოიცა.

კონცერტი და გამოფენა ერთ სივრცეში

მუსიპოს გია ქარჩხაძის პროექტის ფარგლებში ღონისძიება გაიმართა. საზოგადოებას ხელოვანებმა შესთავაზეს კონცერტისა და გამოფენის კოლაბორაცია ერთ სივრცეში. მათ წინაშე SophiO & Dream Quintet და თანამედროვე მხატვრები წარდგნენ.

SophiO & Dream Quintet-მა ახალი პროგრამიდან, სხვა სიმღერებთან ერთად, პირველად შეასრულა კომპოზიცია – Flowers dream. გამოფენილი იყო თანამედროვე მხატვრების – ნათია ვარდოსანიძის, ლევან გაგუნიასა და ვახო კაკულიას ნახატები.

ბიძინა კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“ ქუთაისის ოპერის თეატრში

20 ივლისს, 19 საათზე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში პრემიერაა – წარმოდგენილი იქნება გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის ოპერა „იყო მერვესა წელსა“.

ოპერას საფუძვლად უდევს რობერტ სტურუას ლიბრეტო, შექმნილი იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მოტივების მიხედვით. ოპერის მსოფლიო პრემიერა 1983 წელს გაიმართა თბილისის ოპერის თეატრში ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით და რობერტ სტურუას რეჟისურით. გთავაზობთ ფრაგმენტს ბიძინა კვერნაძის 1998 წლის ინტერვიუდან – „შემიძლია ვთქვა, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მაქვს შექმნილი ხუთიექვსი ნაწარმოები, რომლებითაც თამამად შემიძლია წარვსდგე ნებისმიერი ქვეყნის აუდიტორიის წინაშე და მაინც, ოპერა „იყო მერვესა წელსა“, გამორჩეულია – ამ ნაწარმოებში მივაღწიე მუსიკის მაღალ დინამიკურ განვითარებას და დრამატურგიულ სრულყოფილებას, საგუნდო ეპიზოდების დახვეწილობას და თვით შუშანიკის მუსიკალური დახასიათების სრულქმნილებას“, – ასე აფასებდა კომპოზიტორი თავის ქმნილებას.



„ოპერამ „იყო მერვესა წელსა“ ახალი ეტაპი შექმნა ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიაში. ამ რეფორმატორულ ქმნილებაში ბიძინა კვერნაძე ამკვიდრებს ორიგინალურ მელოდიურ სტილს, ეროვნული შეფერილობის რეჩიტატივსა და საგუნდო დეკლამაციას, თანამედროვე დრამატურგიის საფუძველზე აღმოცენებულ მუსიკალურ დახასიათებებსა და სცენური განვითარების ახალ პრინციპებს“, – წერდა ცნობილი მუსიკისმცოდნე, პროფესორი მარინა ქავთარაძე.

და აი, თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თაოსნობითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული დადგმა ამჯერად ქუთაისის ოპერის თეატრის სცენაზე კვლავ დაუბრუნებს სასცენო სიცოცხლეს ბიძინა კვერნაძის ოპერას „იყო მერვესა წელსა“. ოპერის დადგმაზე მუშაობს შემოქმედებითი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დამდგმელი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი**, დამდგმელი რეჟისორი **თორნიკე მარჯანიშვილი**, კოსტიუმების მხატვარი **თეო კუხიანიძე**, დეკორაციების დიზაინერი **ირაკლი სვანიძე**, დამდგმელი ქორმაისტერი **ირინე ლომინაძე**, დამდგმელი ქორეოგრაფი **ვახტანგ უშვერიძე**. საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები **არმაზ დარაშვილი** (მოხეტიალე დასის ხელმძღვანელი, იგივე იაკობ ხუცესი), **ბადრი ადამია** (ვარსქენ პიტიახში), **ნათია მელქაძე** (შუშანიკი), **ბაკურ კვირიკაშვილი** (ჯოჯიკი), **ემილ ჩარგაზია** (მღვდელი), **მიხეილ ქებაძე** (მსახური), **რამაზ კუბლაშვილი** (პირველი მოხუცი), **ბადრი სახამბერიძე** (მე-2 მოხუცი), **კალისტრატე ხარჩილავა** (მე-3 მოხუცი), **დავით ბენდელიანი** (სპარსი), **ირმა შავგულიძე** (მათხოვარი), **ინგა ფუტკარაძე** (ქალი), თეატრის გუნდი, ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი. სპექტაკლს იდირიჟორებს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი.**

ეწვიეთ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს და ისიამოვნეთ ბიძინა კვერნაძის მუსიკით.

ბადრი ქუთელია

დიდი მაესტროს ვარსკვლავი

გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი იუბილარია, მას 60 წელი შეუსრულდა, იგი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი გახლავთ.

9 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გაიმართა ლეგენდარული ჯაკომო პუჩინის „მანონ ლესკოს“ პრემიერა, რომლის დამდგმელი რეჟისორი გახლავთ იუბილარი მაესტრო.

თეატრის 170-ე სეზონის ეს შესანიშნავი პრემიერა და ზაზა აზმაიფარაშვილის იუბილე იმითაც იყო გამორჩეული, რომ სახელგანთქმულ დირიჟორს დაუფასდა ტიტანური შრომა, ღვაწლი ქართული საოპერო თეატრის წინაშე და მადლიერმა საზოგადოებამ მისი სახელობის ვარსკვლავი გახსნა.

საგანგებო ლოჟაში კომენტარი ვთხოვე აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს: აღფრთოვანებული დავრჩი სპექტაკლით. უპირველეს ყოვლისა, გულითადად ვულოცავ ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილს საიუბილეო თარიღს და დამსახურებულ ჯილდოს – ვარსკვლავის გახსნას – ოპერის წინ.

დღევანდელი საღამო იყო იტალიური და ქართული საოპერო ხელოვნების დიდი ზეიმი. ბედნიერება მქონდა, ლოჟიდან თვალი მედევნებინა ორკესტრისა და დირიჟორისთვის, შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იგი ჩვენთვის ხელახლა ქმნიდა პუჩინის „მანონ-ლესკოს“. ამ მძლავრ და უმშვენიერეს ოპერას, ეს ხომ მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია!

მარინა მაჯავარიანი-ანჯაფარიძე – ფილოლოგიის დოქტორი: **ყოველთვის მხიბლავდა და მხიბლავს ზაზა აზმაიფარაშვილის შემოქმედება... ვულოცავ ჩემი მეუღლის ზურაბ ანჯაფარიძის უახლოესი მეგობრის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორის გივი აზმაიფარაშვილის გენის უნიჭიერეს გამგრძელებელს ზაზა აზმაიფარაშვილს საიუბილეო თარიღს, რომელიც ვარსკვლავის გახსნით დაგვირგვინდა...**

გოგი ჭიჭინაძე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის გამგე, პოლონეთის ბალტიის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი: თბილისში პუჩინის ოპერა „მანონ-ლესკო“ პირველად დაიდგა 1896-1897 წელს „სახაზინო“ თეატრში და ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად, ამ საღამოსაც ამ ოპერამ აღმაფრთოვანა, რომლის სულისჩამდგმელია ზაზა აზმაიფარაშვილი. ეი ნამდვილი დიდი მუსიკოსია და მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ხდება მისი შემოქმედების ოფიციალური აღიარება – ვარსკვლავის გახსნა!

პრემიერის დასრულების შემდეგ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელმა **გადრი მაისურაძემ** მადლობა გადაუხადა 170-ე სეზონში დადგმულ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში მონაწილე დასის წევრებს, ორკესტრს, გუნდს, ყველას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ამა თუ იმ სპექტაკლის განხორციელება და რაც მთავარია ოპერისა და ბალეტის ერთგულ მაყურებელს, შემდეგ კი სცენაზე მოიწვია ზაზა აზმაიფარაშვილი და „მრავალჟამიერის“ ფონზე გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი!

ნანა ჭიჭინაძე,
ოპერის მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე.

რუსულ დეფოლტსა და ვიეტნამურ ომზე...

რუსეთი ისეა მიჩვეული დეფოლტებს და ისე ხშირად აცხადებს ხოლმე სახელმწიფოს ფინანსურ ჩავარდნებსა და ფულის რეფორმებს, ვითომ არაფერი. დეფოლტი აღებული ვალების გადაუხდელობას, ანუ დადგენილ ვადებში ვალის არდაბრუნებას ან ვერდაბრუნებას ნიშნავს. იგივე გაკოტრებაა ანუ გადახდისუუნარობა. დეფოლტად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური მდგომარეობა, როცა მოვალეს ვალის გადახდაზე არ უთქვამს სრულად უარი, მაგრამ დროებით არ ძალუძს ვალის მომსახურება, ანუ ვერ ფარავს ვალზე დარიცხულ პროცენტს. 26 ივნისს, მსოფლიოსთვის რუსეთის მორიგი დეფოლტი გახდა ცნობილი: პროცენტის სახით, 100 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა უცხოურ ვალზე, და ვერ გადაიხადა.

თავად რუსეთის მთავრობა თავს არიდებს დეფოლტის აღიარებას. ვლადიმირ პუტინის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის თქმით, დეფოლტის ბრალდება რუსეთის მიმართ დაუსაბუთებელია, რადგან ჯერ კიდევ მაისში განხორციელდა პროცენტის გადახდა უცხოურ ვალუტაში, ხოლო ის ფაქტი, რომ სანქციებმა დაბლოკა გადახდილი თანხა და ვერ მიაღწია მიმღებ მხარეებამდე, რუსეთის პრობლემა არ არის. როგორც წესი, დეფოლტის გამოცხადების გამო ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი მინიმუმამდე ეცემა, და ის საინვესტიციო მიმზიდველობას ჰკარგავს. ასეთ დროს, კაპიტალი შემოდინების ნაცვლად, გადინებას იწყებს, ქვეყანას უჭირს ახალი ვალის აღება, და რომც მისცენ ვალის აღების საშუალება, გაზრდილ პროცენტს მაინც ვერ გაექცევა. ჩვეულებრივი დეფოლტის გარდა, არსებობს ტექნიკური, ანუ ხელოვნური დეფოლტიც, რაც ნიშნავს, რომ მოვალეს აქვს ვალის გადახდის საშუალება, მაგრამ მაინც ვერ იხდის თანხას, შეგნებულად ან სხვადასხვა დაბრკოლების გამო. ამბობენ, რომ ზუსტად ასეთი დეფოლტია დღეს რუსეთში.

მეოცე საუკუნის განმავლობაში, რუსეთმა დეფოლტი სამჯერ გამოაცხადა. პირველად, 1918 წელს, როცა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ რუსეთის საგარეო ვალის გადახდაზე თქვა უარი. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე, რუსეთის იმპერია ერთერთი უდიდესი მოვალე იყო მსოფლიოში. ხელისუფლებაში მოსულმა კომუნისტებმა არ აღიარეს მეფის დროინდელი ვალი. მეორეჯერ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს გამოაცხადა რუსეთმა დეფოლტი, ოღონდ, ნაწილობრივი. მოგვიანებით, ევროპისა და ამერიკის დახმარებით, ამ ვალის რესტრუქტურიზაცია, ანუ დროში გადანაწილება მოხდა. მესამე დეფოლტი რუსეთმა 1998 წელს გამოაცხადა, რომელიც ყველაზე მტკივნეული გამოდგა ქვეყნისთვის. ახალ რუსეთს გადახდისუუნარობის აღიარება მოუხდა, გაუფასურდა რუბლი და გაკოტრდა მრავალი ბანკი. ქვეყნის დეფოლტამდე მიყვანა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს სერგეი კირიენკოს დაბრალდა, თუმცა, დღეს ის პუტინის ვიწრო წრის წევრია – უკრაინის ანექსირებული მიწების ადმინისტრაციული კონტროლი ავალია. დარგის ექსპერტთა აზრით, დღევანდელ დეფოლტს სწრაფი და მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყვება.

დეფოლტი ძალიან ცუდად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზე. ამჟამად, რუსეთის ხაზინა სავსეა ენერგორესურსების ექსპორტისგან მიღებული ევროთი და დოლარით. ამიტომ, შიდა საჭიროებათა დასაფინანსებლად, სახსრების მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მომავალში, თუ რუსეთს კვლავ მოუნდება გლობალური სესხების ბაზარზე შესვლა, დეფოლტის გამო, კრედიტორები და ინვესტორები, სავარაუდოდ, არ მოისურვებენ რუსეთთან ურთიერთობას. მსურველი რომც გამოჩნდეს, იმდენად ძვირად მოუწევს თავისი კაპიტალის დაზღვევა, რომ რუსეთი დიდი საპროცენტო განაკვეთების წინაშე აღმოჩნდება.

* * *

იყო დრო, როცა ვიეტნამის ომსა და მის გამჩაღებელ ამერიკაზე მსოფლიო ზუსტად იმდენს და ისე ლაპარაკობდა, როგორც დღეს უკრაინის სამხედრო კონფლიქტსა და მის წამომწყებ რუსეთზე. ამერიკის უახლეს ისტორიაში, ვიეტნამის ომი შევიდა, როგორც ერთი დიდი შავი ლაქა ქვეყნის წარსულზე, და ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობა ერის სხეულზე. ომი ამერიკის მარცხით დამთავრდა და მას მსოფლიო ლიტერატურამ და ხელოვნებამ არაერთი შედევრი მიუძღვნა.

დღეს, უნდა, იმაზე გიამბოთ, თუ როგორ და რატომ დაიწყო, და რა მოუტანა სამყაროს დროში გაწელილმა იმ უაზრო სისხლისღვრამ. ვიეტნამი და მისი მეზობელი ქვეყნები, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, საფრანგეთის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ვიეტნამელები დიდი სისხლის ფასად საფრანგეთის ბატონობისგან გათავისუფლდნენ, მაგრამ ცივი ომის შედეგად, ქვეყანა ორ ნაწილად, სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამად გაიყო. სამხრეთი პროდასავლურ კაპიტალისტურ ქვეყნად იქცა, ჩრდილოეთი კი, ჩინეთის პირდაპირი ხელშეწყობითა და მეცადინეობით, კომუნისტური გავლენის ქვეშ მოექცა.

ჩრდილოეთ ვიეტნამს დასავლეთმა ვიეტკონგი უწოდა, ანუ ვიეტნამელი კომუნისტები. ქვეყნის გახლეჩამ და მათ შორის გამწვავებულმა, უმეტესწილად, ზნეობრივ-იდეოლოგიურმა პრობლემებმა, კონფლიქტი გამოიწვია. ვიეტკონგს სურდა, კომუნისტური რეჟიმი გამეფებულიყო მთელ ქვეყანაში. ამ საქმეში, მათთვის დიდი სტიმული საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მაგალითი გახლდათ. ეს ორი ქვეყანა გამალებით მუშაობდა კომუნიზმის იდეის ექსპორტზე მთელ მსოფლიოში. ამას კი დასავლეთი დიდ საფრთხედ აღიქვამდა თავისი მშვიდი არსებობისთვის. მაშინდელ ამერიკულ ადმინისტრაციას მიაჩნდა, რომ მთელი ვიეტნამის გაკომუნისტება დომინოს ეფექტს გამოიწვევდა რეგიონში, ანუ აზიის კონტინენტს მთლიანად მოედებოდა კომუნიზმის იდეა. ამიტომ, ამერიკამ გადაწყვიტა ფულით და იარაღით დახმარებოდა სამხრეთ ვიეტნამს. ჩრდილოეთ ვიეტნამს კი, მხარში ჩინეთი და საბჭოთა კავშირი ედგა.

ეს შეჯიბრი 1960 წლამდე გაგრძელდა. 60-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური ჩრდილოეთ ვიეტნამი შესამჩნევად მოწესრიგდა და მოძლიერდა, როგორც დამოუკიდებელი სახელწიფო. სამხრეთ ვიეტნამის ხელმძღვანელობა შედარებით უმოქმედო და კორუმპირებული ჩანდა. მოსახლეობის ღატაკი ნაწილი, მთავრობის მიმართ უკმაყოფილების გამო, ხშირად კომუნისტების მხარეს გადადიოდა, რამაც ვაშინგტონი საგონებელში ჩააგდო. გამოწვევის გასამკლავებლად, ამერიკამ სამჯერ გაზარდა სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო დახმარება და ინსტრუქტორების დიდი კონტინგენტი გაუგზავნა, თუმცა, არც ამ ძალისხმევას არ ჰქონია სერიოზული ეფექტი. 1964 წლისთვის, კომუნისტები ვიეტნამის ტერიტორიის ორ მესამედს აკონტროლებდნენ უკვე. სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, რასაც ამერიკის სამხედრო ძალების აქტიური ჩარევა მოჰყვა, კერძოდ, ტონკინის ყურეში ამერიკის სამხედრო ხომალდ მედოკს ცეცხლი გაუხსნა ვიეტკონგის საპატრულო ნავებმა. ამერიკამ ინციდენტი ომის გამოცხადებად მიიჩნია და, საპასუხოდ, ჩრდილოეთ ვიეტნამის საზღვაო ობიექტები დაბომბა, თუმცა, სასურველი შედეგის გარეშე. 1965 წლის მარტში, დაიწყო ოპერაცია Rolling Thunder ჩრდილოეთ ვიეტნამის მასობრივი დაბომბვის მიზნით, რათა მომზადებულიყო ნიადაგი ამერიკის სახმელეთო ჯარის გადმოსასმელად. მოგვიანებით, ამერიკამ ვიეტნამში 185 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა, რითაც პირდაპირ შეუტია ჩრდილოეთ ვიეტნამს. ეს ამერიკული აგრესია სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის უმრავლესობამ თავიანთი ქვეყნის ოკუპაციად ჩათვალა და კომუნისტურ ვიეტნამს მიემხრო. კომუნისტებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გააჩაღეს პარტიზანული ომი. დაბნეული და გამწარებულ ამერიკელი ჯარისკაცები ერთმანეთისგან ვეღარ არჩევდნენ მტერს და მოყვარეს, რასაც მოსახლეობის დიდი მსხვერპლი მოჰყვა, მათ შორის, მშვიდობიანის.

ამერიკელთა დასახმარებლად, ტაილანდმა, სამხრეთ კორეამ, ფილიპინებმა, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ სამხედრო დახმარება გაგზავნა ფრონტზე. 1968 წელს, ვიეტნამში უკვე ნახევარი მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი იბრძოდა. მთელი ომის განმავლობაში, ამერიკის ავიაციამ ორ მილიონამდე გაფრენა განახორციელა და შვიდ მილიონ ტონამდე ბომბი ისროლა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ვიეტნამელებმა ჯუნგლებს შეაფარეს თავი და კიდევ უფრო მეტად გაახშირეს პარტიზანული თავდასხმები მტერზე. ომი ნელ-ნელა ჩიხში შევიდა. ამერიკაში ანტისაომარმა მოძრაობამ იმძლავრა. ომის წინააღმდეგ ჯერ ახალგაზრდობა გამოვიდა, რომელთაც სტიმულს აძლევდნენ იმ დონის ამერიკელი ვარსკვლავები, როგორებიც ჯეინ ფონდა და მუჰამედ ალი იყვნენ; ხმა აიმაღლა ჰიპების ცნობილმა მოძრაობამ, რომელსაც, ბოლოს, ქვეყნის ინტელიგენცია და პოლიტიკური მეინსტრიმის დიდი ნაწილი შეუერთდა.

მსოფლიოს მოედო ამერიკელ პაციფისტთა პოპულარული ლოზუნგი: Make love, not war, რომელიც, დაახლოებით, ასე ითარგმნება: **სიყვარულს – კი, ომს არა**. მე კი, აქამდე შემომრჩა ის სამკერდე ნიშანი, რომელიც ამ იდეას ასახავდა. დიდმა მსხვერპლმა და ომის წარუმატებლობამ ამერიკის მთავრობა აიძულა, 1968 წლის მაისში ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ მოლაპარაკებები დაეწყო.

1969 წლის ზაფხულიდან, ამერიკის ხელმძღვანელობამ ომის დეამერიკანიზაციისა და მისი ვიეტნამიზაციის განხორციელება, ანუ ამერიკის ჯარის ქვეყნის ტერიტორიიდან თანდათან გაყვანა და ბრძოლის გასაგრძელებლად საიგონის სამხედრო ძალების გამაგრება გადაწყვიტა. 1970 წლის ბოლოსთვის, ამერიკამ ვიეტნამიდან 210 ათასი ჯარისკაცი გაიყვანა, მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის არმიის რაოდენობა მილიონ-ასიათასს კაცამდე გაზარდა. ამერიკამ საიგონს, გამოყვანილი ამერიკული ჯარების კუთვნილი თითქმის ყველა მძიმე იარაღი გადასცა.

1973 წლის იანვარში, პარიზში, ამერიკის მთავრობამ და კომუნისტურმა ვიეტნამმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის მიხედვით, ამერიკას ბოლო ჯარისკაცამდე უნდა დაეცალა ქვეყანა. ამერიკის მხარდაჭერას მოკლებული საიგონის არმია დემორალიზაციას განიცდიდა. ამასობაში, კომუნისტები ქვეყნის ტერიტორიის ეტაპობრივ გაკონტროლებას შეუდგნენ. 1975 წლის მარტში, ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯარებმა ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს. ორთვიანი კამპანიის შედეგად, მათ სამხრეთ ვიეტნამის უმეტესი ნაწილი დაიკავეს. 1975 წლის 30 აპრილს კი, კომუნისტებმა თავიანთი დროშა აღმართეს საიგონის დამოუკიდებლობის სასახლეზე. ომი დასრულდა ჩრდილოეთ ვიეტნამის სრული გამარჯვებით, და ქვეყანაც გაერთიანდა. იმ უსასტიკესი სამხედრო დაპირისპირების შედგად, ორივე მხარემ საშინელი ზარალი განიცადა და, რაც მთავარია, უდიდესი ადამიანური მსხვერპლი გაიღო.

ვიეტნამის ომში 2,6 მილიონამდე ამერიკელმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა. ამერიკის მხარეს, დაახლოებით, 60 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა და 300 ათასი დაიჭრა. ომის ხარჯიც კოლოსალური იყო. ამერიკამ 9 ათასი თვითმფრინავი და ვერტმფრენი დაკარგა, რომ არაფერი ვთქვათ უდიდესი რაოდენობის სხვა სამხედრო შეიარაღებაზე. შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამის ომზე 352 მილიარდი დოლარი დახარჯა და, სანაცვლოდ, ვერაფერი მიიღო. ორივე მხარეს დაღუპულთა რიცხვმა სამ მილიონს გადააჭარბა. თავად ვიეტნამი ხომ დაინგრა და გაპარტახდა, მაგრამ, ამავე დროს, ვიეტნამის ომმა აჩვენა, რომ პატარა ქვეყანასაც შეუძლია დიდი და ძლიერი ქვეყნის დამარცხება, რადგან თავისი მიწისა და საკუთარი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ხალხს ამაღლებული მიზანი და მეტი სულიერი სიმტკიცე ამოძრავებს, ვიდრე დამპყრობსა და აგრესორს...

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ

ევროკავშირი, აშშ და კიდევ 40-ზე მეტი ქვეყანა ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, სადაც მხარს უჭერენ უკრაინას, ქვეყანაში შეჭრისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის. რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. განცხადებაში ქვეყნები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ მხარდაჭერას გაეროს საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ წარმოების პროცესთან დაკავშირებით და აცხადებენ, რომ რუსეთს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი არღვევს მის საერთაშორისო ვალდებულებებს, როდესაც უარს ამბობს, შეასრულოს სასამართლოს მარტის დადგენილება, უკრაინაში სამხედრო ოპერაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით. განცხადებაში ასევე საუბარია, რომ გენოციდის შესახებ კონვენცია, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოეწერა ხელი, მოიცავს დაპირებას, შეაჩეროს გენოციდი და დაიკისროს პასუხისმგებლობა მის ჩამდენს.

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკრე ოცყოდ ოკრიდრის ნოკშე

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

რელიგია. ღმერთი

ადამიანი, რომელსაც არსებობის გამართლება უნდა, ეშმაკის წინაშე ღმერთის ვექილობა უნდა ძალედვას.

* * *

მოსიყვარულე ღმერთს პატივს არა სდებს იმის იძულება, რომ თავისი თავი უყვარდეს: ის უფრორე საძულველად ყოფნას ამჯობინებდა.

* * *

სუყოველი ეკლესია ქვაა ღმერთკაცის საფლავზე: ეკლესიას უცილობლად უნდა, რომ ის ხელახლა აღარ აღდგეს მკვდრეთით.

* * *

ურწმუნოს გვერდით ადამიანი თავს ისე გრძნობს, თითქოს მაღალი მთის თხემზე იდგეს, რომელ მთაზეც სათავეს იღებენ ყოვლის უფრორე ძალუმი ნიაღვრები, ხოლო მორწმუნის გვერდით ის თითქოს კეთილჩრდილიან, ანუ ბორობან ხეთა ქვეშ იდგეს.

* * *

ღვთისმოსავ და მორწმუნე ადამიანთაგან ჩვენ ხარისხით კი არ განვსხვავდებით, არამედ რწმენისა და თავმდაბლობის რაოდენობით.

* * *

ყოვლის უფრორე ძლიერი ცნება ქრისტიანულ რელიგიაში, რაიც აღამაღლებს ამ ცნებას სუყოველ დანარჩენ რელიგიაზე, გამოიხატება ერთი სიტყვით – „სიყვარულით“.

* * *

მეუფეგდე და აღარ იყვე მონა ღვთისა: დარჩენილია ოდენ ეს საშუალება, რათა გააკეთილშობილო კაცნი.

* * *

...რწმენის ჯერეთ კიდევ არსად არ უმოძრავებია ნამდვილი მთები, მაგრამ რწმენას ძალუძს მთის იქ აღმართვა, სადაც ის არცროდის არ ყოფილა.

ზნეობა

ზნეობა, ალბათ, მავანმა ეშმაკმა გამოიგონა, კაცთა სიამაყით დატანჯვის მიზნით, მეორე ეშმაკი კი ერთხელაც გაუქარწყლებს ამ სიამაყეს, რათა საკუთარი თავის სიძულვილით დატანჯოს ისინი.

* * *

მავანი არსების ზნეობის არსი გამოიხატება მისი არსების პირობების შემწეობით, იმდენად, რამდენადაც ის პირობები გამოხატავენ თავიანთ თავს „ვალად დების“ თვალსაზრისით.

* * *

ზნეობა ადამიანური ყოყოჩობაა ბუნების წინაშე.

* * *

სუყოველ ზნეობაში ლაპარაკია იმაზე, რომ აღმოვაჩინოთ, ვეძიოთ ცხოვრების უმაღლესი მდგომარეობანი, რომლებშიც მანამდე გაშორიშორებული უნარები შეძლებდნენ შეერთებას.

* * *

მოყვასთა მიმართ თანალმობისა და თავაზიანობისა გრძნობის ზნეობისთვის მიკუთვნება (ანდა თვითონ ზნეობად მიჩნევა) მედიდურობის ნიშანია, უკეთუ ვივარაუდებთ, რომ ადამიანი ბუნებით თანამლმობელი და თავაზიანია; მაშასადამე, ეს მედიდურობისა და სულის კეთილშობილების ნაკლია.

* * *

მორალისტნი ფრთხილი ხალხია: საქმეს რასმე რომ შეუდგებიან, მთელ თავიანთ ყურადღებას არა ამ საქმეს, არამედ თავიანთი მოღვაწეობის მოტივით იპყრობენ.

* * *

ადამიანს ბავშვობაში უნდა ჩავუნერგოთ სათნოებანი, რაც რომ იმის ბუნებას ეთანადება: ჩანერგილი სათნოება, ვითარცა ზაფხულის მზიანი ჰაერი, თავის საქმეს იქმს და მოიტანს მწიფე და ტკბილ ნაყოფს.

* * *

საიდან უნდა ავიღოთ ახალ საკუთარ ფასეულობათა უფლება? საიდან და სუყოველი ძველი ფასეულობის უფლებიდან და ამ ფასეულობათა საზღვართაგან.

* * *

ადამიანის ზნეობრივი კანონი ასგზის დარღვეულია ზეკაცის სუყოველ საქციელში.

* * *

ადამიანს ზნეობის გამანადგურებელს უხმობენ, არადა ის მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავის აღმომჩენია.

* * *

ზნეობრივი აღშფოთება შურისგების ყოვლის უფრორე ვერაგული ხერხია.

* * *

ზნეობრივი ადამიანი თვითკმაყოფილებას განიცდის სინდისის ქენჯნისას.

* * *

უსუფთაო სინდისი ის გადასახადია, „სუფთა სინდისის“ გამოგონებამ რომ შეაწერა ადამიანთ.

* * *

სიზმარში სავსებით ნათლად განისაზღვრება ის ამბავი, რასაც ფხიზელმა ადამიანმა ხანისად ზუსტად არ იცის და არცა გრძნობს – მაგალითად, სუფთა აქვს თუ არა სინდისი ცნობილი ადამიანის მიმართ.

* * *

არ არის აუცილებელი თვით აფექტების გამო სირცხვილი – ისინი საამისოდ მიზანშეუწონელია.

* * *

შენი აფექტის, ანუ ძლიერი განცდის გამოვლენის დაძლევა უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავს იმის ამოღვრისთვის დროებით შეწინააღმდეგებას და უსაძრაობის შექმნას; ამასთანავე ადამიანი იმას უფრორე საშიშს ხდის.

* * *

ცნობილია, რომ გაცილებით ნაკლებად ზიანდება ადამიანი მაშინ, როცა თავისი ესა თუ ის აფექტი სხვაზე გადააქვს; ეს მეტადრე ეხებათ ბუნებით შემოქმედ ადამიანთ, ვისაც დიდი სარგებლობა მოაქვთ.

* * *

ადამიანმა აუცილებლად უნდა ისწავლოს უსუფთაო მდგომარეობიდან სუფთად გამოსვლა, ხოლო გაჭირვების შემთხვევაში – ჭუჭყიანი წყლით დაბანვა.

* * *

როს ადამიანი თავისი თავით იხიბლება და არღა ძალუძს თავისი თავის შეყვარება, პროფილაქტიკის მიზნით შეიძლება რომ ვურჩიოთ მოყვასის იმ ზომით სიყვარული, რა ზომითაც მოყვასს დაარწმუნებს, ისიც რომ „ღირსია სიყვარულისა“.

* * *

განუწყვეტელი ვარჯიშით ყოველგვარი ახლობლის ატანის ხელოვნებაში, ადამიანი გაუცნობიერებლად ვარჯიშობს თავისი თავის ატანაში, რაიც არსებითად, ადამიანის ყოვლის უფრორე გაუგებარი წარმატებაა.

* * *

„გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ნიშნავს, უწინარესად: „თავი დაანებე მოყვასსა შენსა!“ სათნოების სახელდობრ ეს ნაწილია დაკავშირებული ყოვლის უფრორე დიდ სიძნელეებთან.

* * *

იმისთვის, რათა განვსაჯოთ, თუ რამდენად ძლიერია ადამიანის ზნეობრივი ბუნება და რა გამოვა ამისგან, აუცილებელია ყოვლის უფრორე კარგისა და ყოვლის უფრორე ცუდის ცოდნა, რისი უნარიც ადამიანს თავის აზრებსა და საქმეებში აქვს.

* * *

აფექტში შეიძლება არა თვითონ ადამიანის, არამედ იმისი აფექტის ცნობა.

* * *

ბევრად მოსახერხებელია შენი სინდისის ხმის, ვიდრე გონების ხმის მიყოლა: ცუდი რამ შედეგისას სინდისს ყოველთვის მოეძებნება გამართლება და ნუგეში. ამიტომაც არიან ესოდენ ბევრნი სინდისიანი ადამიანები, ხოლო ჭკვიანები ესოდენ ცოტანი.

* * *

„უკეთუ შენ აღმოსავლეთით წახვალ, მაშინ მე დასავლეთით წავალ“ – მსგავს გრძნობას შეიძლება რომ ეწოდოს ჰუმანურობის მაღალი ნიშანი ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობისას.

* * *

სწავლობდე შენთა მტერთაგან – იმის საუკეთესო საშუალებაა, რომ შეიყვარო ისინი. აგრერიგად გრძნობა ესე კეთილშობილებას უღვიძებს ადამიანს.

* * *

ხშირადრე არათავაზიანობა უხერხული გაუგებლობის ნიშანია, რასაც მოულოდნელობის შემთხვევაში თავგზის აბნევა და ამის უხეშობით გადაფარვის სურვილი მოჰყვეს.

* * *

უკეთუ ადამიანი სხვათა პატივისგებაში ექცევა, მაშინ ის დანამუსებული უნდა იყვეს საზოგადოებაში, თორემ სხვაგვარად ყველა მიხვდება რომ იგი საკუთარ პატივისცემაში მოექცა. ცინიზმი საზოგადოებაში იმის მაჩვენებელია, რომ ასეთი ადამიანი, განმარტოებული, თავის თავს ისე ექცევა, როგორც ძაღლს.

* * *

იმათი პატივისცემის მოსაპოვებლად, ვისზეც ის დამოკიდებულია, ხანისად ისეთი სახის მიღებაა სასარგებლო, ვითომ არცრა გესმას რა. უცოდინრობა ამ შემთხვევაში უპირატესობას ქმნის.

* * *

მოუთმენელ და ცუდმედიდ ადამიანებს გრაცია და იმაში თავიანთი თავის მიმართ ცოცხალ საყვედურს ხედავენ, რადგან გრაცია გულის მოთმინებაა, რაც მოძრაობასა და სახის გამომეტყველებაში ვლინდება.

* * *

აუცილებელია ზრუნვა იმაზე, ნამეტანი ადრე არ გახდე ცხარე, თორემ ადრე განელდები.

* * *

როს ჭაბუკი იმაზე მეტად გაპატიოსნებას ცდილობს, ვიდრე მანამდე იყო, მაშინ ის მსხვერპლად ირჩევს ვინმე აღიარებულ პატიოსან კაცს, რომელზეც თავდასხმას იწყებს იმ მიზნით, რომ იმის ზნეობრივ სიმაღლემდე „გამოთათხოს“ იმ ფარული აზრით, რა არი ეს პირველი ცდა, ყოველ შემთხვევაში, საშიში არ არის: რაკი არ შეუძლია პატიოსნისთვის ჭკუის სწავლება.

* * *

ამუამად ფასი გარეგნულ სახეს ადევს – ამისთვის აკი ძვირსაც იხდიან – აი ვისთვის იმანჭება ნაცია გერმანულ-ქრისტიანული ნაოჭებით.

* * *

საჭიროა შენი უბედურების საქვეყნოდ გამოტანა, დროდადრო ხმიანად უნდა იოხრო, ხილულად უნდა გამოხატო შენი მოუთმენლობა, იმიტომ რომ, თუ ადამიანები შეგამჩნევენ, რომ, ტანჯვისა და წვალების მიუხედავად, მაინც დარწმუნებული ხარ შენს თავში და ბედნიერიც ხარ, მაშინ ისინი შურითა და ბოღმით აღივსებიან! ამასობაში იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მოყვასნი კიდევ უფრორე არ გავაუარესოთ; ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი მძიმე ხარჯს შეგვაწერდნენ, ჩვენი ღია ტანჯვა კი არის ჩვენი პირადი უპირატესობა.

* * *

საპმარისი არ არის სიკეთის ქმნა – უნდა გვესურვილებოდეს ის და, პოეტის სიტყვით თუ ვიტყვით, იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ღვთაება უძღვებოდეს ჩვენს ნებას. ოღონდ მშვენიერი კი არ უნდა გესურვილებოდეს, არამედ უნდა შეგეძლოს: იმას ქმნიდე უმწიკვლობასა და სიბრმავეში და სრული სიამოვნებით.

* * *

...პატივმოყვარე ადამიანები ცდილობენ, თავიანთი შური შენიღბონ დიდებული დამოკიდებულებით. ისინი უფრორე იმის თანახმანი გახდებიან, რომ უსიამოვნებანი განიცადონ, უკმაყოფილონი ამყოფონ მტრები, ვიდრე თავი გაუტოლონ თავიანთ მტრებს.

* * *

აუცილებელია იმის ცოდნა, რომ თავი კარგად შეინიღბო, სიბნელეში მოექცე, რათა აერიდო მუმლსა და ქინქლას, ანუ თავმომაბეზრებელ თაყვანისმცემელთ.

* * *

შემწყნარებლურად ექცევა რა, ადამიანი აღიზიანებს თავის მოწინააღმდეგეთ; პირიქით, შურიანობა არიგებს იმათ იმასთან – შური ხომ ათანაბრებს ადამიანთ, ერთნაირ სიმაღლეზე აყენებს იმათ.

* * *

...შური არის უნებური, მაგრამ, ამასთანავე, თავმდაბლობის მყვირალა სახეობა.

* * *

ადამიანი, რომელმაც ჩაიხედა ვისიმე იდეალში, ხდება იმისი დაუნდობელი მსაჯული და ბოროტი სინდისი.

* * *

„ჰძმენ ბევრად მეტი, ვიდრე შეჰპირდი“ – ეს საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რის მეოხებითაც შესაძლებელია შენი სპილენძის ვალის მოოქროება თითოეულის თვალში.

* * *

„გვაპატიეთ ჩვენი სათნოება“ – ამგვარად უნდა ულოცო ადამიანთ.

* * *

სუყოველი ადამიანი, ვინც კი რაღაცით სარგებლობს, ფიქრობს, რომ ხისთვის ყოვლის მნიშვნელოვანი თავისი ნაყოფია, არადა ყოვლის უფრორე მნიშვნელოვანი თავისი თესლია. ამაშია სხვაობა მქნელსა და გამომყენებელს შორის.

* * *

ზნეობის უმთავრესი მცნებანი, რომელთაც ხალხი მუდმივად სწავლობს და რომელთაც მუდმივად უქადაგებენ ხალხს, ხალხის მთავარ შეცდომებს ეხება და ამიტომაც არცროდის არა სწყინდა იმას.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86

◎ მოვლენის შემდეგ

საქართველო სარაგბო ქვეყანაა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების გამარჯვებას იტალიის წინააღმდეგ (28:19) რაგბის სამყარო გამოეხმაურა. „ბორჯღალოსანთა“ გამარჯვება ცნობილ გამოცემებსა თუ ვებგვერდებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. აი, რას წერენ ევროპაში საქართველოს ისტორიულ გამარჯვებაზე.

„საქართველოსთვის ისტორიული გამარჯვება. საქართველო თავისი ისტორიის ნაჭერს იტალიასთან ბათუმში 28:19 გამარჯვებით ქმნის“, — წერს Worldrugb.

„საქართველოს ტრიუმფი. საქართველომ იტალია 28:19 დაამარცხა და ისტორიაში პირველად მოუგო ტიერ 1-ის გუნდს. 6 ერში მიწვევა მალე ფოსტაზე უნდა გაიგზავნოს“, — წერს Rugbypass.

„ეს იყო ქართული რაგბისთვის ღია კარი, რაგბის სამყაროსთვის მესიჯის გაგზავნის შანსი და „ბორჯღალოსნებმა“ ეს შესაძლებლობა გამოიყენეს. ეს იყო საეტაპო გამარჯვება, რომელიც რაგბის ბოსებმა უნდა გაითვალისწინონ. საქართველო ნამდვილი სარაგბო ქვეყანაა და მეტი მსგავსი თამაში სჭირდება, რათა აჩვენოს თავისი ღირსება და განვითარდეს, ხელი შეეწყოს მათ განვითარებას, როგორც მეორე დონის ქვეყანას. მოწოდებები, რომ ისინი 6 ერს შეუერთდნენ, ახლა უფრო გაიზრდება. ბევრს მიაჩნია, რომ 6 ერში აღზევება-დაქვეითების სისტემა უნდა შემოიღონ. ასეთი სცენარი პირველ რიგში იტალიასა და საქართველოზე იმოქმედებს. იტალიას 6 ერში 2015 წლის შემდეგ მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს, ხოლო საქართველო რაგბი ევროპას ყოველ წელს იგებს. საქართველო კარგ რაგბის თამაშობს, მაგრამ ამ თამაშში ვნება და ენთუზიაზმი გადამწყვეტი იყო. სტადიონზე საოცარი ატმოსფერო გახლდათ და გულწრფელად რომ ვთქვათ, საქართველო უფრო მეტს იმსახურებს. საქართველო მიჩვეულია დედაქალაქ თბილისში 50 000 გულშემატკივრის წინაშე თამაშს, ეს კი ბათუმში პირველი თამაში იყო და შანსი, რომ შეხვედროდნენ პირველი დონის გუნდს. რაგბი საქართველოს ეროვნული სპორტია და მის მიმართ ვნება ნათელია“, — წერს Daily Mail-ი.

„საოცრება ბათუმში. საქართველომ იტალიას 28:19 მოუგო. „ბორჯღალოსნებმა“ ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს იტალიის წინააღმდეგ, რომელიც ზედმეტად შეშინებული იყო. საქართველომ სიცოცხლის მატჩი ჩაატარა და მოიგო“, — წერს იტალიური სარაგბო საიტი **Onrugby**.

„ძალიან მოუმზადებელი იტალია მშიერი საქართველოსთვის. წაგება, რომელიც სასურველი არ იყო, მაგრამ მძიმე და დამსახურებული მარცხია! ბათუმში ფეიერვერკები აფეთქდა, საქართველომ კი იტალია 28:19 დაამარცხა იმ მატჩში, რომლის სახლში თამაშს მთელი ცხოვრება ელოდა, რათა ეჩვენებინა, რომ ისინიც იმსახურებენ ადგილს დიდ რაგბიში და 6 ერი დახურული არ უნდა იყოს. ახლო მომავალში არაფერი შეიცვლება, მაგრამ პოლიტიკური მესიჯები ძალიან ძლიერია. ბათუმში ძალიან ცხელი გარემო იყო და მოედანზე „ბორჯღალოსნებმა“ მაშინვე ცხადჰყვეს, რომ საქართველოსთვის სიცოცხლის თამაში იყო. ვიდეორეფერის ჩართვის შემდეგ მასპინძლები 5:0 დაწინაურდნენ, ხოლო 4 წუთის შემდეგ დავით ნინიაშვილმა აჩვენა, რატომ არის 20 წლის ასაკში ფენომენი. ეს არ იყო სხვა მატჩების მსგავსი და არ უნდა წაგვეგო. ეს გახლდათ ყინულოვანი შხაპი, რომელიც საჭიროც იყო“, — წერს Gazzeta Delli Sport-ი.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებმა იტალია და ზოგადად, ტიერ 1-ის წარმომადგენელი მეტოქე ისტორიაში პირველად დაამარცხა. აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრები ზაფხულის სერიების ეგიდით ბოლოს მატჩს 16 ივლისს ქუთაისში პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს.

◎ ფეხბურთი

დასანანი მარცხი ბოლო წუთზე

ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ბრატისლავის (სლოვაკეთი) „სლოვანისა“ და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა შორის ფრედ — 0:0 დამთავრდა. **მომდევნო ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა განმეორებით შეხვედრას უნდა გამოევლინა, რომელიც აჭარის დედაქალქის „აჭარაბეთ არენაზე“ 20.000 მაყურებლის თვალწინ გაიმართა.**

„დინამო“ (ბათუმი) - „სლოვანი“ (ბრატისლავა) 0:0, ფდ 1:2

დინამო: კუპატაძე, ჩაბრაძე (85. ფალავანდიშვილი), აზაცკი, რეხვიაშვილი, აზაროვი (106. ნავალოვსკი), ტეიდი (85. ვაწაძე), ალთუნაშვილი (114. რადინი), მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (62. ჯიღაური), დავითაშვილი, ფლამარიონი, მწვრთნელი გია გეგუჩაძე

სლოვანი: ჩოვანი, მედვედევი (114. გრინი), კაშია, აბენა, პაუშეკი (106. რამირესი), კანკავა, კუცკა (115. მუსტაფიჩი), ჩაკვეტაძე (62. ბარსეგიანი), ჰოლმანი (46. შაპონიჩი), ვაისი, ჩავრიჩი (67. ჟმრალი), მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი

1:0 დავითაშვილი (104. მამუჩაშვილის პასით), 1:1 ბარსეგიანი (115. შაპონიჩის პასით), 1:2 ვაისი (120+3)

არბიტრი: ა. ნობრე (პორტუგალია)

სტუმრად უგოლოდ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ, სპეციალისტების აზრით, ბათუმის „დინამოს“ განმეორებით ორთაბრძოლაში მომდევნო ეტაპზე გასვლის მეტი შანსი ჰქონდა. მასპინძლებსაც ამ დრამატულ მატჩში 119 წუთის განმავლობაში ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ წარმატების მისაღწევად. ძირითადი დროის 90 წუთის განმავლობაში დინამოელებმა აშკარა უპირატესობას მიაღწიეს, თუმცა რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. სტუმართა მეკარემაც არაერთხელ იხსნა თანაგუნდელები. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი „სლოვანის“ ფეხბურთელმა შაპონიჩმა გაანიავა ხელსაყრელი მომენტი — ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა.

დამატებით დროში ბათუმელებმა იერიშები გააძლიერეს. 104-ე წუთზე მამუჩაშვილის პასის შემდეგ დავითაშვილმა იყოჩაღა — მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. დინამოელებისა და 20.000 გულშემატკივრის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა — 10 წუთიც არ იყო გასული, ჩაკვეტაძის ნაცვლად 62-ე წუთზე შემოსულმა ბარსეგიანმა წონასწორობა რომ აღადგინა — მისი დარტყმული ბურთი რეხვიაშვილს მოხვდა და მეკარე კუპატაძემ რეაგირება ვერ მოასწრო — 1:1.

მაშინ, როცა ორთაბრძოლის ფრედ დასრულებასა და თერთმეტრიანების სერიას ელოდა ყველა, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მეტოქის ბოლო იერიშისას გია გეგუჩაძის შეგირდებმა ბურთი პირით ხაზს იქით მოიგერიეს. კუთხური სტუმართა მწვრთნელ ვლადიმირ ვაისის შვილმა, უმცროსმა ვაისმა, ჩააწოდა და... გაიტანა, რადგან წინა ძელთან ბათუმელთაგან არავინ იდგა და მეკარეც შორს იყო კარის ხაზიდან, ამიტომ მისი რეაქცია დაგვიანებული აღმოჩნდა. მატჩის შემდეგ „სლოვანის“ მწვრთნელმა ვაისმა თქვა: **„ფეხბურთში ყოველთვის ყველაფერი სამართლიანად არ ხდება. ბათუმის „დინამო“ დღეს უკეთესი იყო. უბრალოდ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ამისთვის ჯილდოდ მივიღეთ გამარჯვება“.**

ასე დრამატულად დასრულდა ეს შეხვედრა. ბათუმელები დამარცხდნენ და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშნენ. ახლა ისინი კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებენ და პოზნანის „ლეხს“ დაუპირისპირდებიან. პოლონელთა გუნდში ორი ქართველი თამაშობს — ნიკა კვეკვესკირი და გიორგი წიტაიშვილი.

◎ ქვიშის ჭიდაობა

ელადაშიც იყოჩაღეს

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი ქვიშის ჭიდაობაში, წინა ეტაპების მსგავსად, საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ქართველმა მოჭიდავეებმა კატერინში (საბერძნეთი) გამართულ შეჯიბრებაზე ოთხივე წონით კატეგორიაში მოიპოვეს მედალი და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **ლევან ქელეხსაშვილი** (70 კგ), **ნიკა კენჭაძე** (80 კგ) და **მამუკა კორძაია** (+90 კგ). ორი მედალია მოპოვებულ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. **დავით ხუციშვილმა** ვერცხლის, **დავით ფირუზაშვილმა** კი ბრინჯაოს მედლებით დაასრულეს ასპარეზობა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ 115 ქულა მოაგროვა და 60 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ აზერბაიჯანს. 44 ქულით მესამე ადგილი ერგო რუმინეთს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დელეგაცია სპორტსმენებისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ჯემალ კილაძის** გარდა, წარმოდგენილი იყო მსაჯით — **რუსლან დარსანიათი.** დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქვიშის სპორტის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი **ლაშა ლომიძე**.

◎ ჩოგბურთი

ჩვენები წყვილთა ნახევარფინალში

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ განახლებულ რეიტინგში წყვილთა შორის ხუთი საფეხურით წინ წაიწია ეკატერინე გორგოძემ, რომელიც ახლა 1489 ქულით 50-ე ადგილზეა და ეს მისი საუკეთესო შედეგია.

ქართველი ჩოგბურთელი ამჟამად უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში 250.000-იან ტურნირში მონაწილეობს და წყვილებში თბილისელ ოქსანა კალაშნიკოვასთან ერთად მე-4 ნომრად არის განთესილი. ჩვენებმა სტარტზე უნგრელები — რეკა ლუკა იანი და ადრიენ ნადი დაამარცხეს — 6:3, 6:2, მეოთხედფინალში კაროლინა ალვეშსა (ბრაზილია) და გაბრიელა ლიის (რუმინეთი) ორ სეტში აჯობეს — 7:5, 6:3 და ნახევარფინალში გავიდნენ. ერთეულთა მთავარ ბადეში გორგოძემ (114-ე) 33 წლის შუაი ჟანთან (ჩინეთი, 41-ე) 5:7, 1:6 წააგო.

◎ ოკეანის გაღმა

რეკორდი გაიმეორა

სანდრო მამუკელაშვილი შესანიშნავ კონდიციებშია. ქართველმა ფორვარდმა „ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ გაიბრწყინა, თუმცა, მისი გუნდი 109:111 დამარცხდა.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი პერიოდი „ბაქსმა“ 2 ქულით მოიგო, მაგრამ შესვენებამდე ლიდერობა „ბოსტონმა მოიპოვა, რომელმაც მეოთხედი 30:20 მოიგო და 8-ქულიანი ფორა შეიქმნა.

მეორე ტაიმში ვინ ბაკერის გუნდმა ყველაფერი გამოასწორა, 39:28 იმარჯვა და დასკვნით მეოთხედს 3-ქულიანი უპირატესობით შეეგება. ყველაფერი ბოლო 12-წუთეულმა გადაწყვიტა. სანდრო ბევრს ეცადა, მატჩის დასრულებამდე 24.5 წამით ადრე ორქულიანი ჩააგდო და საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა — 108:106 თუმცა, დარჩენილ დროში „სელტიქსმა“ ჯერ ორქულიანი, მერე კი სამქულიანი ჩააგდო. მეტ რაიანის სამქულიანი ალბათ ყველაზე გამორჩეული და ეფექტური იყო ამ შეხვედრაში. ბოლო წამზე სანდრომ ბურთი თამაშში შეიყვანა, და შორი მანძილიდან ისროლეს, მაგრამ ბურთი ბადეში ვერ ჩავარდა.

ეს მარცხი სანდროს შედეგიანობას სულაც არ აკნინებს. ქართველი ფორვარდი ფენომენალური იყო და ეს ციფრებშიც აისახა. მამუმ NBA-ში ქართველი კალათბურთელების მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა. მან ეს თავდაპირველად „კლივლენდ კავალიერსთან“ ბოლო ტურში შეძლო, როდესაც 28 ქულა ჩააგდო და ზაზა ფაჩულიას შედეგი გაუთანაბრა (27 ქულა).

მართალია, ეს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მატჩი არ ყოფილა, თუმცა საზაფხულო ლიგაზე იგივე შედეგი დადო. 21 წლის ფორვარდმა 28 ქულასთან ერთად 9 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება დააგროვა. მას ორმაგ დუბლამდე მხოლოდ 1 მოხსნა დააკლდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი კალათბურთელი ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო. მამუკელაშვილმა 19-დან 9 სროლა ზუსტად გამოიყენა, მათ შორის: 5-დან 3 სამქულიანი, 14-დან 6 ორქულიანი და 10-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. მისი + მაჩვენებელი +8 იყო, ხოლო 30 წუთში მხოლოდ 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

სანდროს შემდეგ „ბაქსის“ რიგებში ყველაზე მეტი ქულა ლინდელ ვიგინტონს ჰქონდა. 24 წლის მცველმა 24 ქულასთან ერთად 5 მოხსნა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა დააგროვა, ხოლო „ბოსტონიდან“ მეტ რაიანმა 23 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი გამოიმუშავა.

მწვერვალ კატიწვერაზე მაშველებმა გადაარჩინეს უცხო ქვეყნის დაშავებული მოქალაქე!

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ ონის მუნიციპალიტეტში, მწვერვალ კატიწვერას მიმდებარედ, იმყოფებოდა უცხო ქვეყნის დაშავებული მოქალაქე, რომელიც ვერ ახერხებდა დამოუკიდებლად გადაადგილებას და ესაჭიროებოდა მაშველების დახმარება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეტყობინებაზე რეაგირება მიღებისთანავე მოახდინა და მოქალაქის უსაფრთხო ადგილზე ჩამოსაყვანად დაიწყო სპეციალური სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა. დაშავებულის ადგილსამყოფლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის არარსებობის გამო, გადაწყდა ოპერაციის ვერტმფრენის საშუალებით ჩატარება. კატიწვერას მიმართულებით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები და ექიმები საზღვრო პოლიციის ვერტმფრენით გაემგზავრნენ.

ამ დროისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქე, თანმხლებ პირებთან ერთად, უკვე ჩაყვანილია ქუთაისში და გადაყვანილია სამედიცინო დაწესებულებაში.

უკრაინელი ბავშვები ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში დასვენებენ



უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, ქობულეთის საერთაშორისო სკოლა-ბანაკში „სამშობლო“ ორი კვირით (ივლისსა და აგვისტოში) 200 უკრაინელი მოზარდი მშობლებთან ერთად დასასვენებლად მიიწვიეს.

„ბანაკში გარდა დასვენებისა, ისწავლება ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ცეკვა, სიმღერა, ეწყობა ექსკურსიები და სპორტული შეჯიბრებები.

თანადგომისთვის მადლობას ვუხდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ბიზნესმენებს: თემურ ჭყონიას, ზაზა გოგოტიშვილს და თენგიზ ბაკურიძეს. ღმერთმა მშვიდობა ჰყოს უკრაინაში და მთელ მსოფლიოში!“ — აღნიშნულია ეპარქიის განცხადებაში.

ნიკო ნიკოლაძის დროს აგებულ შენობას რესტავრაცია უკეთდება

ფოთში, აღმაშენებლის ქუჩაზე, მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ყოფილი უშიშროების შენობა) რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოები ოქტომბრის თვეში დასრულდება.

პროექტს „საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი“, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ახორციელებს. სამუშაოების ჯამური ღირებულება 1972 602 ლარს შეადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ფოთის მერმა ბექა ვაჭარაძემ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან გიორგი თოლორდავასთან ერთად დაათვალიერა.

შენობა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის დროს აშენდა და მისი არქიტექტორი ედმუნდ ფრიკია. განხორციელებული სამუშაოების შემდეგ, ისტორიულ ძეგლს ავთენტურობა სრულად შეუნარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ ფოთის სამხატვრო სკოლის სრული რეაბილიტაცია განახორციელა.

ქართველი მეზღვაურების გმირობა

მალტის დროშის ქვეშ მცურავ, თურქულ ტანკერზე მყოფმა 18-კაციანმა ეკიპაჟმა, რომელშიც 9 ქართველია, 5-ბალიანი შტორმის დროს, ურთულეს პირობებში, 52 ადამიანი გადაარჩინა. მათ შორის, ორსული და 3 ბავშვია. ისინი, ოკეანის გავლით, აფრიკიდან ესპანეთში გადასვლას ცდილობდნენ.

მიგრანტები 3 დღის განმავლობაში ღია ზღვაში, ტივზე საკვებისა და წყლის გარეშე იმყოფებოდნენ. შორეულ ნაოსნობაში მყოფმა ქართველმა მეზღვაურებმა — ზაზა ჭაღალიძემ, ზვიად ქობულაძემ, ნუგზარ ბერიძემ, მინდია აბუსერიძემ, კახა ადამიამ, შალვა სვანიძემ, დილარ ცეცხლაძემ, მანუჩარ კობალაძემ და გიორგი ცეცხლაძემ, შტორმისა და ცუდი ხილვადობის პირობებში, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მათი ბორტზე უსაფრთხოდ აყვანა მოახერხეს და მითითების შესაბამისად, მათ ისევ, აფრიკის სანაპიროებზე დააბრუნებენ.

გასტონ ბუაჩიძე

ქართული ლიტერატურისა და ქართული სულის „ფრანგი“ მსახური

2022 წლის 13 ივლისს საფრანგეთში 87 წლის ასაკში გარდაიცვალა სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი და ნანტის უნივერსიტეტის პროფესორი. ბრეტანისა და ლუარისპირეთის ლიტერატურული აკადემიის წევრი, მეცნიერი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე და ხელოვნებათმცოდნე, მწერალი, პედაგოგი გასტონ ბუაჩიძე.

დაიბადა 1935 წლის 21 ოქტომბერს თბილისში. 1960-1990 წლებში გასტონ ბუაჩიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ლიტერატურის პროფესორი. 1991 წელს მიიწვიეს საფრანგეთში, ნანტის უნივერსიტეტში, სადაც უცხოეთიდან ჩასულ სტუდენტებს ფრანგულ ლიტერატურაში უკითხავდა ლექციებს. მას შემდეგ გასტონ ბუაჩიძე საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი მრავალი წიგნის ავტორია: „მარი ბროსეს ცხოვრების ფურცლები“, ტრილოგია „ქართული ფერწერის ნაამბობი“, „ფიროსმანი, ანუ ირმის განავარდება“. პარიზში ფრანგულად გამოსცა ტრილოგია „ფეხდაფეხ“, „მარკიზ დე კიუსტინის მოგზაურობა რუსეთში“, „ალექსანდრე დიუმას თავგადასავლები რუსეთსა და კავკასიაში“, „ანდრე ჟიდთან ერთად საბჭოთა კავშირში დაბრუნება“. მისი შექმნილი ნაწარმოებები სხვადასხვა ენაზეა გამოცემული. გასტონ ბუაჩიძის სახელს უკავშირდება ფრანგულ ენაზე „ვეფისტყაოსნის“ თარგმნა და 1989 წელს გამოცემა, რაც იმ დროის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენა იყო. მან, ასევე, თარგმნა არაერთი ქართველი კლასიკოსის შედევრი, მათ შორის: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამე“, ილია ჭავჭავაძის „ლექსები და პროზა“. გასტონ ბუაჩიძემ ქართველ მკითხველს მრავალი ფრანგი მწერლის შემოქმედებაც გააცნო. მისი კვლევების ძირითადი თემა ყოველთვის იყო ქართული და ფრანგული ლიტერატურის კავშირები. წლების განმავლობაში წარმატებით ეწეოდა საფრანგეთში ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციას. გასტონ ბუაჩიძე ხელს უწყობდა თბილისისა და ნანტის დაძმობილებას. ასევე, მისი ორგანიზებით მოეწყო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა ნანტის ხელოვნების მუზეუმში. გასტონ ბუაჩიძე ბოლო 31 წელი ნანტში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მისმა უკრაინელმა მეუღლემ, ფილოლოგმა სვეტლანა საბუკაია-ბუაჩიძემ სამი წიგნი დაწერა საქართველოზე: „სუფრა — მბრძანებელი“, „ფიროსმანის სივრცეში მოგზაურობა“ და „რუსთაველის ცრემლები“.

ოთარ, ვასილ და ირინა ტურაბელიძეები სამძიმარს უცხადებენ აკაკი (კოკა) და ელენე ურუშაძეებს მამის, უკეთილშობილესი პიროვნების

რევაზ აკაკის ძე ურუშაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარ გვაძაბიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნოდარ გვაძაბია (პ/ნ 42001002483), ქ. ფოთი, ბერდიანსკის ქ. 30, სართ. 2, ბინა 31

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ფოთი, ბერდიანსკის ქ. 30, სართ. 2, ბინა 31 (საკადასტრო კოდი: 04.01.14.181.01.031).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37926.44 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 14 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2022 წლის 28 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP80506022; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 805060

6. **მოვალე:** ნოდარ გვაძაბია (პ/ნ 42001002483), ქ. ფოთი, ბერდიანსკის ქ. 30, სართ. 2, ბინა 31;

გია გვაძაბია (პ/ნ 58001013079), ხობი, ქვემო ქვალონი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP80506022; ლოტის ნომერი: 805060).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 28 ივლისის 10:00 საათამდე.

CHEVENING
STUDY IN THE UK
APPLICATIONS ARE OPENING SOON!
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

სტუდენტებს უცხოეთში სწავლას უფინანსებს

„საქართველოს ბანკი“ უკვე მე-9 წელია „Chevening“-ის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში ქართველ ახალგაზრდებს, დიდი ბრიტანეთის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას სრულად უფინანსებს. 2022-2023 სასწავლო წლის გამარჯვებული სტიპენდიატები უკვე ცნობილია, აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი გოგონაა, ესენია: ფიქრია ელიზარაშვილი, თამარ ჯაფარიძე და ირმა მათოშვილი.

ეს ახალგაზრდები სწავლას ბრიტანეთის ისეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში გააგრძლებენ, როგორიცაა: Strathclyde-ის უნივერსიტეტი, King's College London Oxford Brookes-ის უნივერსიტეტი. დღემდე უკვე 20-მა სტუდენტმა შეძლო ამ პროგრამით სარგებლობა. „Chevening“-ის სასტიპენდიო პროგრამა იმ სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, ვისაც სწავლის გაგრძელება სამაგისტრო საფეხურზე გაერთიანებულ სამეფოში სურთ. იგი 1983 წელს დაარსდა. დღესდღეობით პროგრამას 42,000-ზე მეტი სტიპენდიატი ჰყავს მსოფლიოს 118 ქვეყნიდან. 2013 წელს საქართველოს ბანკსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას შორის გაფორმდა პარტნიორობა, რის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაერთიანებული სამეფოს წამყვან უნივერსიტეტებში, სრული დაფინანსებით მიიღონ საუკეთესო ხარისხის განათლება სასურველი მიმართულებით. დაფინანსება მოიცავს არა მარტო სწავლის გადასახადს, არამედ ყოველთვიურ სტიპენდიას, მგზავრობას, დისერტაციის – თეზისის გრანტს და ვიზის გადასახადს.

ბილ გეითსი ლიდერობას თმობს

მილიარდერმა მეცენატმა, ბილ გეითსმა გადაწყვიტა ქონების უდიდესი ნაწილი თავისივე დაარსებულ საქველმოქმედო ორგანიზაციას უსახსოვროს. „გეითსების ფონდი“ რომელიც ბილმა და მისმა მეუღლემ, მელინდამ 2000წ. დააფუძნეს, ერთ-ერთი უმსხვილესი, საქველმოქმედო ფონდია მსოფლიოში. გეითსების გარდა მას მილიარდერი უორენ ბაფეტიც უწევს კონტროლს.



ფონდის ძირითადი მიზანია, მსოფლიოს ჯანდაცვის გაუმჯობესება, სიღარიბის აღმოფხვრა, განათლების ხარისხის აწევა სამყაროში და ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

როგორც გეითსი აცხადებს, მომდევნო თვეებში იგი ფონდში საკუთარი ქონებიდან 20 მილიარდ დოლარს გადარიცხავს და მსოფლიოს მილარდერთა სიაში საპატიო ლიდერის ადგილს დაკარგავს. მსგავსი სახის ქველმოქმედება უპრეცედენტო მაგალითია ამ დრომდე მსოფლიოში. იმედია გეითსს სხვა მილიარდერებიც შეუერთდებიან.

საოცარი და იშვიათი აღმოჩენა ბელგიაში

არქეოლოგებმა ბელგიაში, 1815 წელს, ვატერლოოს ბრძოლის დროს დაღუპული ჯარისკაცებისა და ცხენების ჩონჩხები აღმოაჩინეს. ეს „ძალიან იშვიათი“ აღმოჩენაა და გათხრების გაგრძელებაა საჭირო. გათხრებს გლაზგოს უნივერსიტეტთან არსებული ბრძოლის ველის არქეოლოგიის ცენტრის სპეციალისტები აწარმოებენ.

ვატერლოოს ბრძოლა 1815 წლის 18 ივნისს გაიმართა და ნაპოლეონის ომების დასასრულს აღნიშნავს. საფრანგეთის არმია ნაპოლეონის მეთაურობით ბრიტანეთისა და პრუსიის ძალებმა დაამარცხეს. ბრძოლის ველზე ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა, თუმცა ამ დრომდე მხოლოდ რამდენიმე მათგანის ნეშტია აღმოჩენილი. მე-19 საუკუნის ქრონიკების თანახმად, ბრძოლის შემდეგ უამრავი დაღუპულის ძვალი შეაგროვეს, დაფქვეს და ფერმებზე სასუქად იყენებდნენ.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ.

ᲕᲚᲐᲥᲔᲠᲜᲝᲑᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდებას ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა სამოსელისა (კვართისა) ვლაქერნას.

ცნობილია, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი სიწმინდეთაგანი, რომელიც ლეონ დიდმა გადმოასვენა კონსტანტინოპოლში. საგულისხმოა, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლი საქართველოშიც ყოფილა, რადგან ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიაში“ ვკითხულობთ **„გურიელმან“ ბრძოლად წარმოსულმან განძარცვა ხატი ვლაქერნისა ღვთისმშობელი და ჰყო სამკაულად თვისად“.**

რაც შეეხება ვლაქერნიდან წამობრძანებულ მეორე ხატს, რომელიც თან ჰქონდა ირაკლი იმპერატორს სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, ეს ხატი შემდეგ ათონის მთაზე გადაუსვენებიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება სიწმინდეები, რომელიც სხვადასხვა ეკლესიამონასტრებიდანაა წამოღებული. ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ მორწმუნეები ეამბორებიან მარიამ ღვთისმშობლის კვართს, ამ უდიდეს სიწმინდეს!

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

რა მოჰყვა შუქის გათიშვას...

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ქორწილის დროს ელექტროენერგიის გათიშვის გამო, პატარძალი დის საქმროზე დააქორწინეს.

შემთხვევა მადია პრაფეშის შტატში მოხდა, სადაც კაცმა თავისი 4 შვილისთვის 1 ვაჟისა და 3 ქალიშვილისთვის ქორწილების ერთ დღეს გადახდა გადაწყვიტა. ოთხივე პატარძალს ერთნაირი კაბები ეცვა, ტრადიციების მიხედით მათ სახეები დაფარული ჰქონდათ. ცერემონიის დროს სოფელში ელექტროენერგია გაითიშა, მაგრამ ცერემონიის გადადების ნაცვლად მამამ ქორწილები არ შეწყვიტა. სიბნელეში ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელსაც ნიკიტა ჰქვია, მისი დის საქმროს გვერდით აღმოჩნდა და მას გაჰყვა ცოლად. უცნობია როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ.

ქურდბაცაცა დათვი

აშშ-ში, ფლორიდაში მცხოვრებმა კაცმა საკუთარ ავტოფარეხში გადაიღო ვიდეო, რომელზეც ჩანს, როგორ იპარავს დათვი მაცივრიდან საჭმელს. ცხოველი ყურადღებას არ აქცევს სახლის პატრონის საუბარს და საკვების მოპარვას აგრძელებს.

მას შემდეგ, რაც ცხოველი ეზოში, ბალახზე წამოკოტრიალდა და მოპარული საკვები მადიანად მიირთვა, ტერიტორია დატოვა. სახლის პატრონი დაუპატიჟებელ სტუმარს ავტომობილით გაჰყვა და ნახა, როგორ გაუჩინარდა ქურდბაცაცა და დანაყრებული დათვი ტყეში.

ქვეყანა 9 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მონაცემებით, 24 თებერვლიდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, 9 136 006 სასაზღვრო კვეთა აღრიცხეს. ევროკავშირის ქვეყნებს შორის, უკრაინელი ლტოლვილების მიმღებთა შორის პირველი პოლონეთია – ამ ქვეყანამ 1 221 596 ლტოლვილი შეიფარა.

პოლონეთს მოსდევს გერმანია, სადაც 900,000 უკრაინელი ჩავიდა, ჩეხეთმა 391 000 ლტოლვილი მიიღო, თურქეთმა და იტალიამ კი, დახლოებით, 150 000-150 000 უკრაინელი. გაეროს შეფასებით, 12 ივლისის მდგომარეობით, რუსეთში უკრაინიდან 1 625 531 ლტოლვილი ჩავიდა. გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მიერ ევროპის ექვს ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უკრაინელების უმრავლესობას, რომლებმაც იქ თავშესაფარი მიიღეს, ომის დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნება სურს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 2.8643; ევრო - 2.8815
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4128;
100 რუბლი - 4.8504; თურქული ლირა - 0.1642;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6904;
1000 სომხური დრამი - 6.9248.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+18,	დღე +38
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე +30
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+16,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე +34
თბილისი:	ღამე	+21,	დღე +36

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: **sakresp@mail.ru**
და **sakresp@top.ge**
ვებ-გვერდი: **www.sakresp.ge**